# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

N2431 2022 წლის 26 დეკემბერი ქ. თბილისი

**„საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 30 დეკემბრის №2735 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, „საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 30 დეკემბრის №2735 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების დანართები: №1 – №5 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი

დანართი №1

# საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის თაობაზე

# ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ქალაქ ------- მუნიციპალიტეტის მერს შორის

ქ. თბილისი ___ , --- წელი

წინამდებარე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ფორმდება შემდეგ მხარეებს შორის:

- ერთი მხრივ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) წარმომადგენელი მინისტრი/მინისტრის მოადგილის, (სახელი, გვარი)სახით, და
- მეორე მხრივ, ქალაქ -------- მუნიციპალიტეტის (შემდგომში - მუნიციპალიტეტი) მერი (სახელი, გვარი).

მხარეები ითვალისწინებენ, რომ სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების შეფასება (PEFA) არის საჯარო ფინანსების მართვის შეფასების ეფექტური ინსტრუმენტი;

მხარეები აცნობიერებენ, რომ შეფასების მეთოდოლოგია ითვალისწინებს საჯარო ფინანსების მართვის შესრულების საფუძვლიან, თანმიმდევრულ და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ანალიზს დროის კონკრეტულ მონაკვეთში;

მხარეები აცნობიერებენ, რომ მიუხედავად სახელმწიფო დონეზე სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების (PEFA) შეფასების ანგარიშის მიხედვით მაღალი შეფასებებისა, მუნიციპალიტეტების სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების (PEFA) ინდიკატორების გამოყენებით შეფასების მომზადებისას გამოიკვეთა ხარვეზები საჯარო ფინანსების მართვის სფეროში, ინდიკატორების მნიშვნელოვანი ნაწილი შეფასდა დაბალი ქულებით და საჭიროებს გაუმჯობესებას;

მხარეები აცნობიერებენ, რომ 2018-2021 წლების საჯარო ფინანსების მართვის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტების მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესება, რაც საჭიროებს მნიშვნელოვან ძალისხმევას ფინანსების მართვაში ჩართული მხარეების მხრიდან;

მხარეები ანიჭებენ რა განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რომ ფინანსების მართვის შეფასების ინსტრუმენტი გამოყენებულია მუნიციპალიტეტისთვის სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების (PEFA) სისტემის შესაფასებლად, თანხმდებიან მემორანდუმის შემდეგ პირობებზე:

მუხლი 1. მემორანდუმის მიზანი

მხარეები გამოხატავენ და ადასტურებენ სურვილსა და მზადყოფნას, ითანამშრომლონ კანონმდებლობით ნებადართული ფორმით, ამ მემორანდუმის ფარგლებში 2018-2021 წლების საჯარო ფინანსების მართვის სტრატეგიით გათვალისწინებული ღონისძიებების სათანადოდ განხორციელების და სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების შეფასების (PEFA) ანგარიშით გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით.

მუხლი 2. მემორანდუმის საგანი

მემორანდუმის საგანია, მხარეთა თანამშრომლობის შედეგად, ამ მემორანდუმის დანართით (შემდგომში - დანართი) განსაზღვრული ამოცანების და სამიზნე მაჩვენებლების შესრულება დადგენილ ვადებში და ამ შესრულებიდან გამომდინარე კაპიტალური გრანტის (შემდგომში - გრანტი) მიღება. ამ მემორანდუმის დანართი წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

1. მხარეები ყოველმხრივ შეუწყობენ ხელს თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის განვითარებას და შეასრულებენ ამ მემორანდუმით გათვალისწინებულ უფლება-ვალდებულებებს;
2. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, რათა მემორანდუმის ფარგლებში ერთობლივი საქმიანობის დაგეგმვისთვის და ცალკეული გადაწყვეტილებების შესასრულებლად, საჭიროების შემთხვევაში, გამოყონ შესაბამისი კვალიფიკაციის თანამშრომელი/თანამშრომლები.
3. სამინისტრო იღებს ვალდებულებას, საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული წესით განახორციელოს შესაბამისი კაპიტალური გრანტის (შემდგომში - გრანტი) გაცემა მუნიციპალიტეტზე, მის მიერ დანართით გათვალისწინებული პირობების შესრულების შემთხვევაში;
4. სამინისტრო უზრუნველყოფს გრანტის გაცემას დანართით გათვალისწინებული სამიზნე მაჩვენებლების შესრულებიდან გამომდინარე, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ დაკმაყოფილებულია გრანტის მიღებისათვის საჭირო ზოგადი პირობები.
5. მუნიციპალიტეტი იღებს ვალდებულებას ამ მემორანდუმით განსაზღვრული გრანტის მიღების მიზნით შეასრულოს დანართით განსაზღვრული ზოგადი პირობების და სამიზნე მაჩვენებლების შესრულება;
6. ამ მუხლის მე-3-მე-5 პუნქტებით განსაზღვრული გრანტის მიღება ხორციელდება დანართით განსაზღვრული პირობების შესრულებისათვის გათვალისწინებულ ვადებში და შესაბამისი ოდენობით.

მუხლი 4. მემორანდუმის მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის საფუძვლები

1. მემორანდუმი ძალაში შედის ამ მემორანდუმის დანართი №2-ის პირველი პუნქტით შესაბამისი მუნიციპალიტეტისთვის განსაზღვრული ვადის გათვალისწინებით.
2. მემორანდუმის შეწყვეტის საფუძვლებია:
    - მხარეთა წერილობითი შეთანხმება;
    - საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე მემორანდუმში ცვლილების ან დამატების შეტანა დაიშვება წერილობითი ფორმით, რომელსაც ხელს აწერს ორივე მხარე.
2. საკითხებს, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე მემორანდუმით, მხარეები წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. მემორანდუმი შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

მხარეთა ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| საქართველოს ფინანსთა სამინისტრო | ქალაქ ------- მუნიციპალიტეტის მერი |

## დანართი №2

1. *მემორანდუმის დანართით განისაზღვრება საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში მუნიციპალიტეტების მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობისათვის გამოყოფილი კაპიტალური გრანტის მიღების პირობები შემდეგი მუნიციპალიტეტებისათვის:*

- *ქ. ქუთაისი (2020-2022 წწ.)*
- *ქ. რუსთავი (2020-2022 წწ.)*
- *მარნეული (2020-2022 წწ.)*
- *გარდაბანი (2020-2022 წწ.)*
- *ქ. გორი (2021-2023 წწ.)*
- *ქ. ზუგდიდი (2021-2023 წწ.)*

*მემორანდუმის დანართი* №1

*ცხრილ №1-ში წარმოდგენილია მუნიციპალიტეტების მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების მიზნით განსახორციელებელი ამოცანები და ინდიკატორები სამწლიანი პერიოდისთვის;*
*ცხრილ №2-ში წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის მიერ მისაღები გრანტის მოცულობა (ათასი ლარი) და გრანტის მიღების პერიოდი. ამასთან, განკარგულების დანართი №2-ის პირველი პუნქტით მუნიციპალიტეტებისათვის განსაზღვრული სამწლიანი პერიოდის გათვალისწინებით, წარმოდგენილია ცხრილი №2.1 და ცხრილი №2.2.*
*ცხრილი №1-ით წარმოდგენილი ამოცანების საბაზისო მაჩვენებლები განზოგადებულია მუნიციპალიტეტებისათვის, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, დონორების დახმარებით განხორციელებული PEFA შეფასების ინდიკატორების გამოყენებით, მუნიციპალიტეტების შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, ასევე არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით.*

### საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობისათვის მუნიციპალიტეტების მიერ გამოყოფილი კაპიტალური გრანტის მიღების ზოგადი პირობები

1. კაპიტალური გრანტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი ზოგადი პირობები:
   ა) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი აკმაყოფილებს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 155[1] მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ პირობებს;
   ბ) სამიზნე მაჩვენებლების შემოწმებისას მუნიციპალიტეტი ინარჩუნებს წინა წლებისათვის განსაზღვრულ სამიზნე მაჩვენებლებით განსაზღვრულ პირობებთან შესაბამისობას.
2. ზოგადი პირობების და ცხრილი №1-ით განსაზღვრულ სამიზნე მაჩვენებლების შესრულებას ამოწმებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; მუნიციპალიტეტმა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში უნდა წარმოადგინოს ცხრილი №1-ით განსაზღვრული სამიზნე მაჩვენებლების შესრულების შესახებ ინფორმაცია არაუგვიანეს შესაბამისი წლის 10 დეკემბრისა; სამიზნე მაჩვენებლების გადამოწმების მიზნით მუნიციპალიტეტისგან ინფორმაციის მიღება შესაძლებელია განხორციელდეს ელექტრონული ფორმით.

3. კაპიტალური გრანტის ჩარიცხვის მიზნით, სამიზნე მაჩვენებლების შესრულების ვადები განსაზღვრული ცხრილი №1-ით, ხოლო საქართველოს ფინანსთა სამინისტრო გრანტის ჩარიცხვას ახორციელებს ცხრილი №2-ით განსაზღვრულ ვადებში, ამავე ცხრილით განსაზღვრული ოდენობით.

## ცხრილი №1 მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების მიზნით განსახორციელებელი ამოცანები და სამიზნე მაჩვენებლები

| ამოცანა | ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | სამიზნე მაჩვენებელი - პირველი წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მეორე წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მესამე წელი[1] |
|---|---|---|---|---|---|
| 1. საშუალოვადიანი დაგეგმვა და ბიუჯეტირება | **1.1. საბიუჯეტო დოკუმენტაციის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფის მუშაობა** | სამუშაო ჯგუფის შექმნის და ამ ჯგუფის მუშაობის ძირითადი საკითხები ფორმალიზებულია პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიით. არსებობს იურიდიული საფუძველი, თუმცა სამუშაო ჯგუფის მუშაობა და პრაქტიკაში და მის მიერ საბიუჯეტო პროცესის სრული კოორდინირება არ ხდება. საბიუჯეტო პროცესი კვლავ აღიქმება ძირითადად საფინანსო სამსახურების ვალდებულებად. ბიუჯეტის მომზადების ქვემოდან ზემოთ დაგეგმვის პრინციპის პრაქტიკაში დასანერგად სამუშაო ჯგუფების როლი საჭიროებს მნიშვნელოვან გაძლიერებას. | **მიზანი:** საბიუჯეტო დოკუმენტაციის მომზადების პროცესის კოორდინაციის მიზნით შექმნილია სამუშაო ჯგუფი პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შესაბამისად. განსაზღვრულია შესაბამისი მუნიციპალური სამსახურების მიერ ინფორმაციის მომზადების ვადები და სამუშაო ჯგუფის შეკრების პერიოდულობა.<br>**გადამოწმების საშუალება:** მუნიციპალიტეტეტის მერის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტი სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის ივლისი და დეკემბერი; | **მიზანი:** საბიუჯეტო დოკუმენტაციის მომზადების პროცესის კოორდინაციის მიზნით შექმნილია სამუშაო ჯგუფი პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შესაბამისად. განსაზღვრულია შესაბამისი მუნიციპალური სამსახურების მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის მომზადების ვადები და სამუშაო ჯგუფის შეკრების პერიოდულობა.<br>**გადამოწმების საშუალება:** მუნიციპალიტეტეტის მერის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტი სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი;<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის ივლისი და დეკემბერი; | **მიზანი:** საბიუჯეტო დოკუმენტაციის მომზადების პროცესის კოორდინაციის მიზნით შექმნილია სამუშაო ჯგუფი პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შესაბამისად. განსაზღვრულია შესაბამისი მუნიციპალური სამსახურების მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის მომზადების ვადები და სამუშაო ჯგუფის შეკრების პერიოდულობა.<br>**გადამოწმების საშუალება:** მუნიციპალიტეტეტის მერის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტი<br>სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი;<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის ივლისი და დეკემბერი; |

---

[1] იმ მუნიციპალიტეტებისთვის, რომელთაც ურთიერთშეთანხმების მემორანდუმები გააფორმეს 2019 წელს საქართველოს მთავრობის 2019 წლის 30 დეკემბრის №2735 განკარგულების საფუძველზე და სამიზნე მაჩვენებლების შესრულების ვალდებულება აქვთ 2020 წლიდან, სამიზნე მაჩვენებლის პირველ წელი გულისხმობს 2020 წელს, ხოლო მეორე და მესამე წელში იგულისხმება შესაბამისად, 2021 და 2022 წლები, გარდა ამ ცხრილის მე-4 ამოცანის (საინვესტიციო პროექტების მართვა) შემთხვევაში. მე-4 ამოცანის შენიშვნაში მითითებულია სამიზნე მაჩვენებლების შესრულების ვადები შესაბამისი მუნიციპალიტეტისათვის.

| ამოცანა | ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | სამიზნე მაჩვენებელი - პირველი წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მეორე წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მესამე წელი[1] |
|---|---|---|---|---|---|
| | **1.2. პრიორიტეტების დოკუმენტი და ასიგნებების ზღვრული მოცულობების დადგენა** | მუნიციპალიტეტი ამზადებს პრიორიტეტების დოკუმენტს, თუმცა მისი სტრუქტურა არ შეესაბამება პროგრამული ბიუჯეტის შედგენის განახლებული მეთოდოლოგიით განსაზღვრულ ფორმატს. მათ შორის, პრიორიტეტების დოკუმენტში არ არის განისაზღვრული პრიორიტეტების მიხედვით ასიგნებების ზღვრული მოცულობები საშუალოვადიანი პერიოდისთვის. ამასთან, პრიორიტეტების დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია არსებითად არ განსხვავდება ბიუჯეტში წარმოდგენილი სტრუქტურისგან. | **მიზანი:** სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებულია პრიორიტეტების საშუალოვადიანი დოკუმენტის პირველადი ვარიანტი, რომლითაც განსაზღვრულია შესაბამისი საშუალოვადიანი პერიოდისთვის პრიორიტეტების ასიგნებების ზღვრული მოცულობები (ჭერები).<br>**გადამოწმების საშუალება:** სამუშაო ჯგუფის ოქმი პრიორიტეტების დოკუმენტის მოწონების შესახებ; შესაბამისი საშუალოვადიანი პერიოდის პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტი, რომელიც გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე;<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის 15 აგვისტო | **მიზანი:** სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული პრიორიტეტების დოკუმენტი, რომელიც მოიცავს პრიორიტეტების ძირითად მიმართულებებს და ასიგნებების და რიცხოვნობების ზღვრულ მოცულობებს (ჭერები) შესაბამისი საშუალოვადიანი პერიოდისთვის, მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ფორმატით, მეთოდოლოგიით გათვალისწინებულ ვადებში.<br>**გადამოწმების საშუალება:** სამუშაო ჯგუფის ოქმი პრიორიტეტების დოკუმენტის მოწონების შესახებ; შესაბამისი საშუალოვადიანი პერიოდის პრიორიტეტების დოკუმენტი გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის 15 ნოემბერი | **მიზანი:** შესაბამისი საშუალოვადიანი პერიოდის პრიორიტეტების დოკუმენტში გამიჯნულია პროგრამები არსებული (მიმდინარე) და ახალი ინიციატივების მიხედვით.<br>**გადამოწმების საშუალება:** სამუშაო ჯგუფის ოქმი პრიორიტეტების დოკუმენტის მოწონების შესახებ; შესაბამისი საშუალოვადიანი პერიოდის პრიორიტეტების დოკუმენტი გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე;<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის დეკემბერი |

---

[1] იმ მუნიციპალიტეტებისთვის, რომლებიც ურთიერთშეთანხმების მემორანდუმებს აფორმებენ 2021 წელს, პირველ წელში იგულისხმება 2021 წელი, ხოლო მეორე და მესამე წელში იგულისსმება შესაბამისად 2022 და 2023 წლები. ამასთან, კონკრეტული მუნიციპალიტეტებისთვის სამიზნე მაჩვენებლების შესრულების პერიოდი განსაზღვრულია დანართი №2-ის პირველ პუნქტში.

| ამოცანა | ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | სამიზნე მაჩვენებელი - პირველი წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მეორე წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მესამე წელი[1] |
|---|---|---|---|---|---|
| | **1.3. პროგრამული ბიუჯეტირება** | მუნიციპალიტეტის პროგრამული ბიუჯეტის დანართის ფორმატი და მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება პროგრაული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიით, თუმცა მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტსა და ბიუჯეტში წარმოდგენილია ინფორმაცია პროგრამების აღწერების, შედეგების და ინდიკატორების შესახებ ერთწლიანი პერიოდისთვის და არ შეესაბამება პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის ფორმატს. | **მიზანი:** პროგრამული ბიუჯეტის დანართი მომზადებულია კანონმდებლობით განსაზღვრული ფორმატით, ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის (eBudget.ge) მეშვეობით.<br>**გადამოწმების საშუალება:** პროგრამული ბიუჯეტის დანართი, რომელიც თან ერთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე. პროგრამული ბიუჯეტის დანართი შევსებულია ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში (eBudget.ge).<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის დეკემბერი | **მიზანი:** პროგრამული ბიუჯეტის დანართი მომზადებულია კანონმდებლობით განსაზღვრული ფორმატით, ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის (eBudget.ge) მეშვეობით. ბიუჯეტით გათვალისწინებული პრიორიტეტების ფარგლებში გათვალისწინებული პროგრამების ჯამური მოცულობის არანაკლებ 25% -ისთვის წარმოდგენილია მოსალოდნელი შედეგები და შეფასების ინდიკატორები პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შესაბამისად.<br>**გადამოწმების საშუალება:** პროგრამული ბიუჯეტის დანართი, რომელიც თან ერთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე. პროგრამული ბიუჯეტის დანართი შევსებულია ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში (eBudget.ge).<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის დეკემბერი | **მიზანი:** პროგრამული ბიუჯეტის დანართი მომზადებულია კანონმდებლობით განსაზღვრული ფორმატით ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის (eBudget.ge) მეშვეობით. ბიუჯეტით გათვალისწინებული პრიორიტეტების ფარგლებში გათვალისწინებული პროგრამების ჯამური მოცულობის არანაკლებ 50% -ისთვის წარმოდგენილია მოსალოდნელი შედეგები და შეფასების ინდიკატორები პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შესაბამისად.<br>**გადამოწმების საშუალება:** პროგრამული ბიუჯეტის დანართი, რომელიც თან ერთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე. პროგრამული ბიუჯეტის დანართი შევსებულია ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში (eBudget.ge).<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის დეკემბერი |

| ამოცანა | ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | სამიზნე მაჩვენებელი - პირველი წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მეორე წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მესამე წელი[1] |
|---|---|---|---|---|---|
| | **1.4. სამოქმედო გეგმების მომზადება** | მუნიციპალიტეტის სამოქმედო გეგმის ფორმატი და მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიით. პრიორიტეტების დოკუმენტსა და ბიუჯეტში ნაწილობრივ წარმოდგენილია ინფორმაცია პროგრამების ფარგლებში ღონისძიებების აღწერების, შედეგების და ინდიკატორების შესახებ ერთწლიანი პერიოდისთვის, თუმცა მუნიციპალიტეტი არ ამზადებს სამოქმედო გეგმას მეთოდოლოგიის შესაბამისად. | **მიზანი:** მომზადებულია დასაგეგმი წლის დეტალური სამოქმედო გეგმა, რომელიც შეესაბამება პრიორიტეტების დოკუმენტით დადგენილ ზღვრულ მოცულობებს.<br>**გადამოწმების საშუალება:** სამართლებრივი აქტი სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე; დასაგეგმი წლის სამოქმედო გეგმა გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე<br>**შესრულების ვადა:** პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიით დადგენილ ვადაში. | **მიზანი:** მომზადებულია შესაბამისი საშუალოვადიანი პერიოდის დეტალური სამოქმედო გეგმა, რომელიც შეესაბამება პრიორიტეტების დოკუმენტით დადგენილ ზღვრულ მოცულობებს. სამოქმედო გეგმაში თითოეული პრიორიტეტის ფარგლებში ასიგნებების ჯამური მოცულობის არანაკლებ 25%-თვის წარმოდგენილია მოსალოდნელი შედეგები და შეფასების ინდიკატორები პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შესაბამისად.<br>**გადამოწმების საშუალება:** სამართლებრივი აქტი სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე; შესაბამისი საშუალოვადიანი პერიოდის სამოქმედო გეგმა გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე<br>**შესრულების ვადა:** პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიით დადგენილ ვადაში. | **მიზანი:** მომზადებულია შესაბამისი საშუალოვადიანი პერიოდის დეტალური საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც შეესაბამება პრიორიტეტების დოკუმენტით დადგენილ ზღვრულ მოცულობებს. სამოქმედო გეგმაში თითოეული პრიორიტეტის ფარგლებში ასიგნებების ჯამური მოცულობის არანაკლებ 50%-თვის წარმოდგენილია მოსალოდნელი შედეგები და შეფასების ინდიკატორები პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შესაბამისად.<br>**გადამოწმების საშუალება:** სამართლებრივი აქტი სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე; შესაბამისი საშუალოვიადიანი პერიოდის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე<br>**შესრულების ვადა:** პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიით დადგენილ ვადაში. |

| ამოცანა | ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | სამიზნე მაჩვენებელი - პირველი წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მეორე წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მესამე წელი[1] |
|---|---|---|---|---|---|
| | **1.5. დამტკიცებული ბიუჯეტში ცვლილებების რაოდენობა** | მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცვლილებების განხორციელებას ხშირი ხასიათი აქვს და არ არის დამოკიდებული მხოლოდ ერთი მხარჯავი დაწესებულებიდან, მეორე მხარჯავ დაწესებულებაზე ასიგნებების გადატანით, რაც საჭიროებს მუნიციპალტიეტის ბიუჯეტის წარდგენას საკრებულოსთვის და ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულია მუნიციპალიტეტის ნაშთის გადანაწილებით საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში არ ხდება ნაშთის გადანაწილება ბიუჯეტის დამტკიცების დროს, რაც დაგეგმვის ხარვეზზე მიუთითებს. | | **მიზანი:** საკუთარი შემოსავლების ნაწილში მიმდინარე წლის ბიუჯეტში ცვლილებები განხორციელდა არა უმეტეს 4-ჯერ **გადამოწმების საშუალება:** მომზადებული ინფორმაცია დამტკიცებულ ბიუჯეტში საკუთარი შემოსავლების ფარგლებში ცვლილებების განხორციელების რაოდენობის და საჭიროებების შესახებ, რომელიც განთავსებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე. **შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის დეკემბერი | **მიზანი:** წლის განმავლობაში საკუთარი შემოსავლების ნაწილში განხორციელებული ცვლილებებით დაკორეტირებული ხარჯვითი ნაწილის გეგმები თავდაპირველი გეგმისაგან განსხვავდება არა უმეტეს 10%-ით; **გადამოწმების საშუალება:** მომზადებული ინფორმაცია დამტკიცებულ ბიუჯეტში საკუთარი შემოსავლების ფარგლებში ცვლილებების განხორციელების რაოდენობის და საჭიროებების შესახებ, რომელიც განთავსებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე. **შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის დეკემბერი |

| ამოცანა | ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | სამიზნე მაჩვენებელი - პირველი წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მეორე წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მესამე წელი[1] |
|---|---|---|---|---|---|
| 2. ანგარიშგება და კონტროლი | 2.1. ფინანსური ანგარიშგების წარმოება[2] | მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგების მომზადება რეგულირდება კანონმდებლობით, კერძოდ, საქართველოს ფინანსთა მინისტროს 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანებით. მუნიციპალიტეტები ან არ ამზადებენ ფინანსური ანგარიშგებებს ან ძირითადად პრაქტიკაში მუნიციპალიტეტის მიერ მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს/საჭიროებს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. ამასთან, მუნიციპალიტეტებს არა აქვთ ფინანსური ანგარიშგების (ბალანსის) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის წარდგენის ვალდებულება. თუმცა საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში უნდა მომზადდეს ცენტრალური მთავრობის 2020 წლის ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგება, რომელსაც დანართების სახით უნდა ქონდეს თანდართული ყველა მუნიციპალიტეტის და ავტონომიურების ნაერთი ბუღალტრული ანგარიში. | **მიზანი:** მუნიციპალიტეტის წინა წლის ფინანსური ანგარიშგება (ბალანსი) მომზადებულია "ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების შესაბამისად და წარდგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის. **გადამოწმების საშუალება:** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის და სახელმწიფო აუდიტისთვის ოფიციალურად გაგზავნილი წინა წლის ფინანსური ანგარიშგება (ბალანსი). **შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის 1 ივლისი | **მიზანი:** მუნიციპალიტეტის წინა წლის ფინანსური ანგარიშგება (ბალანსი) მომზადებულია დარიცხვის მეთოდის შესაბამისი სტანდარტების საფუძველზე და წარდგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის და სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის. **გადამოწმების საშუალება:** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის და სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის ოფიციალურად გაგზავნილი წინა წლის ფინანსური ანგარიშგება (ბალანსი). **შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის 1 ივლისი | **მიზანი:** მუნიციპალიტეტის წინა წლის ფინანსური ანგარიშგება (ბალანსი) მომზადებულია დარიცხვის მეთოდის შესაბამისი სტანდარტების საფუძველზე და წარდგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის და სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის. **გადამოწმების საშუალება:** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის და სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის ოფიციალურად გაგზავნილი წინა წლის ფინანსური ანგარიშგება (ბალანსი). **შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის 1 ივლისი |

[2] *2020-2022 წლებში შესასრულებელი სამიზნე მაჩვენებლები იმ მუნიციპალიტეტებისთვის, რომელთანაც მემორანდუმები გაფორმდა 2019 წელს: ქ. ქუთაისი, ქ. რუსთავი, მარნეული, გარდაბანი.*

| ამოცანა | ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | სამიზნე მაჩვენებელი - პირველი წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მეორე წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მესამე წელი[1] |
|---|---|---|---|---|---|
| | **2.1[1]. ფინანსური ანგარიშგების წარმოება**[3] | მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგების მომზადება რეგულირდება კანონმდებლობით, კერძოდ, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის №24 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ" ინსტრუქციით. მუნიციპალიტეტის მიერ მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს/საჭიროებს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. | **მიზანი:** მუნიციპალიტეტის წინა წლის ფინანსური ანგარიშგება (ბალანსი) მომზადებულია დარიცხვის მეთოდის შესაბამისი სტანდარტების საფუძველზე და წარდგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის და სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის.<br>**გადამოწმების საშუალება:** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის და სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის ოფიციალურად გაგზავნილი წინა წლის ფინანსური ანგარიშგება.<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის 1 ივლისი | **მიზანი:** მუნიციპალიტეტის წინა წლის ფინანსური ანგარიშგება (ბალანსი) მომზადებულია დარიცხვის მეთოდის შესაბამისი სტანდარტების საფუძველზე და წარდგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის და სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის.<br>**გადამოწმების საშუალება:** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის და სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის ოფიციალურად გაგზავნილი წინა წლის ფინანსური ანგარიშგება.<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის 1 ივლისი | **მიზანი:** მუნიციპალიტეტის წინა წლის ფინანსური ანგარიშგება (ბალანსი) მომზადებულია დარიცხვის მეთოდის შესაბამისი სტანდარტების საფუძველზე და წარდგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის და სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის.<br>**გადამოწმების საშუალება:** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის და სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის ოფიციალურად გაგზავნილი წინა წლის ფინანსური ანგარიშგება.<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის 1 ივლისი |

[3] *2021-2023 წლებში შესასრულებელი სამიზნე მაჩვენებლები იმ მუნიციპალიტეტებისთვის, რომელთანაც მემორანდუმები გაფორმდა 2021 წელს: ქ. გორი, ქ. ზუგდიდი.*

| ამოცანა | ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | სამიზნე მაჩვენებელი - პირველი წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მეორე წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მესამე წელი[1] |
|---|---|---|---|---|---|
| | **2.2. ვალის შესახებ ინფორმაციის ასახვა ბიუჯეტში** | საბიუჯეტო დოკუმენტაცია არ მოიცავს ინფორმაციას ვალის მთლიანი მოცულობის შესახებ. | **მიზანი:** საბიუჯეტო დოკუმენტაციაში ასახულია ვალის მოცულობა სულ მცირე მიმდინარე წლის დასაწყისისათვის, **გადამოწმების საშუალება:** მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პაკეტი, რომელიც გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე. **შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის ნოემბერი | **მიზანი:** საბიუჯეტო დოკუმენტაციაში ასახულია ვალის მოცულობის პროგნოზი, დასაგეგმი წლის პერიოდის ბოლოსათვის; **გადამოწმების საშუალება:** მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პაკეტი, რომელიც გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე. **შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის ნოემბერი | **მიზანი:** საბიუჯეტო დოკუმენტაციაში ასახულია ვალის მოცულობის პროგნოზი, დასაგეგმი წლის პერიოდის ბოლოსათვის; **გადამოწმების საშუალება:** მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პაკეტი, რომელიც გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე. **შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის ნოემბერი |
| | **2.3. შიდა აუდიტის ანგარიშები და შიდა ფინანსური მართვის და კონტროლის სისტემის ფუნქციონირება** | შიდა აუდიტის სუბიექტების მიერ მომზადებული აუდიტორული შემოწმებები ხშირ შემთხვევაში არ ეყრდნობა რისკების შეფასებას; მუნიციპალიტეტი ძირითადად ამზადებს შესაბამისობის აუდიტს. შესაბამისად, შიდა აუდიტის მიმართულების გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანია რისკის შეფასებაზე დაფუძნებული შემოწმებების მომზადება და რეკომენდაციების მონიტორინგი. | **მიზანი:** რისკის შეფასების საფუძველზე შედგენილი სამოქმედო გეგმის მიხედვით განხორციელებულია აუდიტორული შემოწმება შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის ცენტრთან კონსულტაციით. მომზადებული ანგარიში განხილულია მუნიციპალიტეტის საკრებულოში. **გადამოწმების საშუალება:** მუნიციპალიტეტის მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის ცენტრისთვის ოფიციალურად წარდგენილი ანგარიში; ცენტრის პოზიცია მომზადებული ანგარიშის საერთაშორისო და ადგილობრივ სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ; საკრებულოს სხდომის ოქმი. **შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის სექტემბერი | **მიზანი:** განხორციელებულია მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ წინა წელს მომზადებული შიდა აუდიტორული შემოწმების ანგარიშში წარმოდგენილი რეკომენდაციების მონიტორინგი ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის ცენტრთან კონსულტაციით. **გადამოწმების საშუალება:** მუნიციპალიტეტის მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის ცენტრისთვის ოფიციალურად წარდგენილი ანგარიში; ცენტრის პოზიცია მომზადებული ანგარიშის საერთაშორისო და ადგილობრივ სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ; **შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის სექტემბერი | **მიზანი:** რისკის შეფასების საფუძველზე შედგენილი სამოქმედო გეგმის მიხედვით განხორციელებულია აუდიტორული შემოწმება (არანაკლებ ერთი ეფექტიანობის აუდიტი) შიდა აუდიტის სუბიექტი მიერ ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის ცენტრთან კონსულტაციით. მომზადებული ანგარიში განხილულია მუნიციპალიტეტის საკრებულოში. **გადამოწმების საშუალება:** მუნიციპალიტეტის მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის ცენტრისთვის ოფიციალურად წარდგენილი ანგარიში; ცენტრის პოზიცია მომზადებული ანგარიშის საერთაშორისო და ადგილობრივ სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ; საკრებულოს სხდომის ოქმი. **შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის სექტემბერი |

| ამოცანა | ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | სამიზნე მაჩვენებელი - პირველი წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მეორე წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მესამე წელი[1] |
|---|---|---|---|---|---|
| | **2.4. წარმომადგენლობითი ორგანოს ზედამხედველობა ანგარიშგებებზე** | მუნიციპალიტეტის მიერ მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები ძირითადად არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს. მუნიციპალიტეტების მიერ პრაქტიკაში ძირითადად არ ხორციელდება ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის. | | **მიზანი:** სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ აუდირებული მუნიციპალიტეტის წინა წლის ფინანსური ანგარიშგების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განხილვა საკრებულოში.<br>**გადამოწმების საშუალება:** საკრებულოს შესაბამისი გადაწყვეტილება, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნის არსებობის შემთხვევაში<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის ნოემბერი | **მიზანი:** საკრებულოს მიერ განხილულია წინა წლის სამიზნე მაჩვენებლით განსაზღვრულ ფინანსურ ანგარიშგებაზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინების თაობაზე მუნიციპალიტეტის ანგარიში;<br>**გადამოწმების საშუალება:** მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ანგარიში.<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის ნოემბერი |
| 3. ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა | **3.1. ბიუჯეტის შესრულების კვარტალური და წლიური ანგარიშგებების წარმოება** | მუნიციპალიტეტის მიერ მომზადებული კვარტალური და წლიური ანგარიშები ზოგადი ხასიათისაა. კვარტალური ანგარიშები არ მოიცავს ინფორმაციას პროგრამების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიში არ მზადდება პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შესაბამისად. | **მიზანი:** მომზადებულია არანაკლებ მუნიციპალიტეტის მიმდინარე წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიში და წინა წლის ბიუჯეტის წლიური ანგარიში;<br>**გადამოწმების საშუალება:** 6 თვის შესრულების ანგარიში და წლიური ანგარიში, რომელიც განთავსებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე.<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის ივლისი და დეკემბერი. | **მიზანი:** მომზადებულია მუნიციპალიტეტის წინა წლის ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიში, რომელიც მოიცავს ინფორმაციას პრიორიტეტების ფარგლებში დაგეგმილი პროგრამების/ქვეპროგრამების შესრულების თაობაზე.<br>**გადამოწმების საშუალება:** წინა წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში, რომელიც განთავსებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე.<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის ივლისი | **მიზანი:** მომზადებულია მუნიციპალიტეტის წინა წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში (პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით) პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შესაბამისად და 1.3 ამოცანის ფარგლებში წინა წლის მიზნის შესაბამისად, არანაკლებ პროგრამების 25%-სთვის წარმოდგენილია ინფორმაცია დაგეგმილთან შედარებით მიღწეული შედეგების და ინდიკატორების შესახებ და განმარტებები დაგეგმილ და მიღწეულ მაჩვენებლებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში.<br>**გადამოწმების საშუალება:** წლიური ანგარიში, რომელიც განთავსებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე.<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის ივლისი. |

| ამოცანა | ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | სამიზნე მაჩვენებელი - პირველი წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მეორე წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მესამე წელი[1] |
|---|---|---|---|---|---|
| | **3.2. საბიუჯეტო დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობა** | ხშირ შემთხვევაში მუნიციპალიტეტი ან არ ამზადებს რიგ საბიუჯეტო დოკუმენტაციას, ან არ არის ხელმისაწვდომი მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით. | **მიზანი:** მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომია საკრებულოში წარდგენილი საბიუჯეტო დოკუმენტაცია (მათ შორის, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტები და მუნიციპალიტეტის დამტკიცებული ბიუჯეტი თანდართულ მასალებთან ერთად, კვარტალური (3, 6 და 9 თვის) და წლიური ანგარიშები).<br>**გადამოწმების საშუალება:** შესაბამისი ინფორმაცია, რომელიც განთავსებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე.<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის ივლისი და დეკემბერი | **მიზანი:** მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომია საკრებულოში წარდგენილი საბიუჯეტო დოკუმენტაცია (მათ შორის, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტები და მუნიციპალიტეტის დამტკიცებული ბიუჯეტი თანდართულ მასალებთან ერთად, კვარტალური (3, 6 და 9 თვის) და წლიური ანგარიშები).<br>**გადამოწმების საშუალება:** შესაბამისი ინფორმაცია, რომელიც განთავსებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე.<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის 1 ივლისი და დეკემბერი | **მიზანი:** მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომია საკრებულოში წარდგენილი საბიუჯეტო დოკუმენტაცია (მათ შორის, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტები და მუნიციპალიტეტის დამტკიცებული ბიუჯეტი თანდართულ მასალებთან ერთად, კვარტალური (3, 6 და 9 თვის) და წლიური ანგარიშები).<br>**გადამოწმების საშუალება:** შესაბამისი ინფორმაცია, რომელიც განთავსებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე.<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის ივლისი და დეკემბერი |
| | **3.3. მოქალაქის გზამკვლევის მომზადება** | მუნიციპალიტეტის მიერ რეგულარულად არ მზადდება/არ მზადდება საბიუჯეტო დოკუმენტაციაზე (პრიორიტეტების დოკუმენტი, დამტკიცებული ბიუჯეტი, შესრულების ანგარიშები და სხვა) მოკლე და მოქალაქეებისთვის მარტივად აღქმად ენაზე მომზადებული გზამკვლევი. | **მიზანი:** მომზადებულია მიმდინარე წლის 1 ივლისის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის დაზუსტებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების (მათ შორის კაპიტალური პროექტები) მიმდინარეობის შესახებ მოქალაქის გზამკვლევი.<br>**გადამოწმების საშუალება:** მოქალაქის გზამკვლევი გამოქვეყნებული მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის აგვისტო | **მიზანი:** მუნიციპალიტეტის მიერ მომზადებულია მოკლე, მოქალაქეებისთვის მარტივად აღსაქმელი ინფორმაცია/გზამკვლევი წინა წლის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშზე და დასაგეგმი წლის დამტკიცებულ ბიუჯეტზე.<br>**გადამოწმების საშუალება:** წინა წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის და დასაგეგმი წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მოკლე გზამკვლევი, რომელიც განთავსებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე.<br>**შესრულების ვადა:** წინა წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის გზამკვლევის მომზადება - შესაბამისი წლის 1 მაისი; დასაგეგმი წლის ბიუჯეტის კანონის მოკლე გზამკვლევი - შესაბამისი წლის დეკემბერი. | **მიზანი:** მუნიციპალიტეტის მიერ მომზადებულია მოკლე, მოქალაქეებისთვის მარტივად აღსაქმელი ინფორმაცია/გზამკვლევი არანაკლებ წინა წლის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშზე და დასაგეგმი წლის დამტკიცებულ ბიუჯეტზე.<br>**გადამოწმების საშუალება:** წინა წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის და დასაგეგმი წლის დამტკიცებულ ბიუჯეტზე მოკლე გზამკვლევი, რომელიც განთავსებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე.<br>**შესრულების ვადა:** წინა წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის გზამკვლევის მომზადება - შესაბამისი წლის 1 მაისი; დასაგეგმი წლის ბიუჯეტის კანონის მოკლე გზამკვლევი - შესაბამისი წლის დეკემბერი |

| ამოცანა | ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | სამიზნე მაჩვენებელი - პირველი წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მეორე წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მესამე წელი[1] |
|---|---|---|---|---|---|
| 4. საინვესტიციო პროექტების მართვა[4] | **4.1 საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის ერთიანი სისტემის დანერგვა** | საქართველოს მთავრობის 2016 წლის 22 აპრილის №191 დადგენილებით დამტკიცდა საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევი, რომლის საფუძველზე მომზადდა დეტალური მეთოდოლოგია (საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 22 ივლისის N165 ბრძანება (ცვლილება „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანებაში). ზემოაღნიშნული გზამკვლევი და მეთოდოლოგია ვრცელდება საინვესტიციო/კაპიტალურ პროექტებზე, რომლის ღირებულება შეადგენს ან აღემატება 5.0 მლნ ლარს. თუმცა, მნიშვნელოვანია რომ აღნიშნული პრაქტიკა დაინერგოს 5.0 მლნ ლარზე ნაკლები ღირებულების საინვესტიციო პროექტებზე, მუნიციპალიტეტების სპეციფიკის გათვალისწინებით. | **მიზანი:** მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელ ყველაზე მსხვილ ერთ ახალ საინვესტიციო/კაპიტალურ პროექტზე, რომლის განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილება არ არის მიღებულ, მომზადებულია კონცეფციის ბარათი და ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზი საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევის და მეთოდოლოგიის შესაბამისად, აღნიშნული პროექტების ბიუჯეტში გათვალისწინებამდე.<br>**გადამოწმების საშუალება:** ახალი პროექტებზე მომზადებული კონცეფციის ბარათი და ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზი გადაგზავნილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროში; შესაბამისი ინფორმაცია ასახულია შესაბამისი საშუალოვადიანი წლების პრიორიტეტების დოკუმენტში და დასაგეგმი წლის ბიუჯეტში.<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის დეკემბერი | **მიზანი:** მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელ ყველაზე მსხვილ ორ ახალ საინვესტიციო/კაპიტალურ პროექტზე, რომლის განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილება არ არის მიღებული მომზადებულია კონცეფციის ბარათი და ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზი საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევის და მეთოდოლოგიის შესაბამისად, აღნიშნული პროექტების ბიუჯეტში გათვალისწინებამდე.<br>**გადამოწმების საშუალება:** ახალი პროექტებზე მომზადებული კონცეფციის ბარათები და ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზი გადაგზავნილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროში; შესაბამისი ინფორმაცია ასახულია შესაბამისი საშუალოვადიანი წლების პრიორიტეტების დოკუმენტში და დასაგეგმი წლის ბიუჯეტში.<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის დეკემბერი | **მიზანი:** მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელ ყველაზე მსხვილ სამ ახალ საინვესტიციო/კაპიტალურ პროექტზე, რომლის განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილება არ არის მიღებული მომზადებულია კონცეფციის ბარათები და ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზი საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევის და მეთოდოლოგიის შესაბამისად, აღნიშნული პროექტების ბიუჯეტში გათვალისწინებამდე.<br>**გადამოწმების საშუალება:** ახალი პროექტებზე მომზადებული კონცეფციის ბარათები და ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზი გადაგზავნილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროში; შესაბამისი ინფორმაცია ასახულია შესაბამისი საშუალოვადიანი წლების პრიორიტეტების დოკუმენტში და დასაგეგმი წლის ბიუჯეტში.<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის დეკემბერი |

[4] ამოცანის სამიზნე მაჩვენებლების შესრულება იწყება 2021 წლიდან ყველა მუნიციპალიტეტისთვის. შესაბამისად, იმ მუნიციპალიტეტებმა, რომელთაც ურთიერთშეთანხმების მემორანდუმები გააფორმეს საქართველოს მთავრობის 2019 წლის 30 დეკემბრის №2735 განკარგულების საფუძველზე და სამიზნე მაჩვენებლების შესრულების ვალდებულება აქვთ 2020 წლიდან, პირველ წელი გულისხმობს 2021 წელს, ხოლო მეორე წელი - 2022 წელს და ვინაიდან მემორანდუმი 3 წლიან პერიოდს მოიცავს, აღნიშნულ მუნიციპალიტეტებს მესამე წლის, იგივე 2023 წლის სამიზნე მაჩვენებლის შესრულების ვალდებულება წარმოდგენილი

## ცხრილი №2 მუნიციპალიტეტისათვის მისაღები გრანტის მოცულობა (ათასი ლარი) და გრანტის მიღების პერიოდი

**მუნიციპალიტეტებისათვის, რომელთაც ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი გააფორმეს 2019 წელს საქართველოს მთავრობის 2019 წლის 30 დეკემბრის №2735 განკარგულების საფუძველზე და სამიზნე მაჩვენებლების შესრულების ვალდებულება აქვთ 2020 წლიდან, სამიზნე მაჩვენებლების შესრულების შესაბამისად კაპიტალური გრანტის მოცულობა და გრანტის მიღების პერიოდი განისაზღვრება ცხრილი №2.1-ით, ხოლო მუნიციპალიტეტებისათვის, რომლებიც ურთიერთშეთანხმების მემორანდუმს აფორმებენ 2021 წელს და სამიზნე მაჩვენებლების შესრულების ვალდებულება აქვთ 2021 წლიდან, სამიზნე მაჩვენებლების შესრულების შესაბამისად კაპიტალური გრანტის მოცულობა და გრანტის მიღების პერიოდი განისაზღვრება ცხრილი №2.2-ით.*

ცხრილი №2.1

- ქ. ქუთაისი
- ქ. რუსთავი
- მარნეული
- გარდაბანი

| ამოცანა | სამიზნე მაჩვენებლის დასახელება | სულ ჯამი | გრანტის მოცულობა (ათასი ლარი) და გრანტის მიღების პერიოდი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 2020 წელი | 2021 წელი | 2022 წელი | 2023 წელი |
| 1. საშუალოვადიანი დაგეგმვა და ბიუჯეტირება | 1.1. საბიუჯეტო დოკუმენტაციის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფის მუშაობა<br>1.2. პრიორიტეტების დოკუმენტი და ასიგნებების ზღვრული მოცულობების დადგენა | **200.0** | 100.0 | 100.0 | | |
| | 1.3. პროგრამული ბიუჯეტირება | **600.0** | | 100.0 | 200.0 | 300.0 |
| | 1.4. სამოქმედო გეგმების მომზადება | **500.0** | 100.0 | 200.0 | 200.0 | |
| | 1.5. დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების რაოდენობა | **300.0** | | | 100.0 | 200.0 |

მემორანდუმით არ აქვთ. იმ მუნიციპალიტეტებისთვის, რომლებიც მემორანდუმებს აფორმებენ 2021 წელს და სამიზნე მაჩვენებლების შესრულების ვალდებულება აქვთ 2021 წლიდან, პირველი წელი გულისხმობს 2021 წელს, ხოლო მეორე და მესამე წელი შესაბამისად 2022 და 2023 წელს.

| ამოცანა | სამიზნე მაჩვენებლის დასახელება | სულ ჯამი | გრანტის მოცულობა (ათასი ლარი) და გრანტის მიღების პერიოდი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 2020 წელი | 2021 წელი | 2022 წელი | 2023 წელი |
| | სულ | **1,600.0** | **200.0** | **400.0** | **500.0** | **500.0** |
| 2. ანგარიშგება და კონტროლი | 2.1. ფინანსური ანგარიშგების წარმოება<br>2.2. ვალის შესახებ ინფორმაციის ასახვა ბიუჯეტში | **200.0** | 100.0 | 100.0 | | |
| | 2.3. შიდა აუდიტის ანგარიშები და შიდა ფინანსური მართვის და კონტროლის სისტემის ფუნქციონირება | **300.0** | 100.0 | 100.0 | 100.0 | |
| | 2.4. წარმომადგენლობითი ორგანოს ზედამხედველობა ანგარიშგებებზე | **300.0** | | 150.0 | 150.0 | |
| | სულ | **800.0** | **200.0** | **350.0** | **250.0** | **0.0** |
| 3. ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა | 3.1. ბიუჯეტის შესრულების კვარტალური და წლიური ანგარიშგებების წარმოება<br>3.2. საბიუჯეტო დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობა | **300.0** | | 100.0 | 200.0 | |
| | 3.3. მოქალაქის გზამკვლევის მომზადება | **400.0** | 100.0 | | 150.0 | 150.0 |
| | სულ | **700.0** | **100.0** | **100.0** | **350.0** | **150.0** |
| 4. საინვესტიციო პროექტების მართვა | 4.1. საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის ერთიანი სისტემის დანერგვა | **500.0** | | | **200.0** | **300.0** |
| | სულ | **500.0** | **0.0** | **0.0** | **200.0** | **300.0** |

| ამოცანა | სამიზნე მაჩვენებლის დასახელება | სულ ჯამი | გრანტის მოცულობა (ათასი ლარი) და გრანტის მიღების პერიოდი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 2020 წელი | 2021 წელი | 2022 წელი | 2023 წელი |
| სულ ჯამი | | 3,600.0 | 500.0 | 850.0 | 1,300.0 | 950.0 |

ცხრილი №2.2

- ქ. გორი
- ქ.ზუგდიდი

| ამოცანა | სამიზნე მაჩვენებლის დასახელება | სულ ჯამი | გრანტის მოცულობა (ათასი ლარი) და გრანტის მიღების პერიოდი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 2021 წელი | 2022 წელი | 2023 წელი | 2024 წელი |
| 1. საშუალოვადიანი დაგეგმვა და ბიუჯეტირება | 1.1. საბიუჯეტო დოკუმენტაციის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფის მუშაობა | **100.0** | 100.0 | | | |
| | 1.2. პრიორიტეტების დოკუმენტი და ასიგნებების ზღვრული მოცულობების დადგენა | | | | | |
| | 1.3. პროგრამული ბიუჯეტირება | **600.0** | | 100.0 | 200.0 | 300.0 |
| | 1.4. სამოქმედო გეგმების მომზადება | **500.0** | 100.0 | 200.0 | 200.0 | |
| | 1.5. დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების რაოდენობა | **300.0** | | | 100.0 | 200.0 |
| | სულ | **1,500.0** | **200.0** | **300.0** | **500.0** | **500.0** |
| 2. ანგარიშგება და კონტროლი | 2.1. ფინანსური ანგარიშგების წარმოება | **200.0** | 100.0 | 100.0 | | |
| | 2.2. ვალის შესახებ ინფორმაციის ასახვა ბიუჯეტში | | | | | |
| | 2.3. შიდა აუდიტის ანგარიშები და შიდა ფინანსური მართვის და კონტროლის სისტემის ფუნქციონირება | **300.0** | 100.0 | 100.0 | 100.0 | |
| | 2.4. წარმომადგენლობითი ორგანოს ზედამხედველობა ანგარიშგებებზე | **300.0** | | 150.0 | 150.0 | |
| | სულ | **800.0** | **200.0** | **350.0** | **250.0** | **0.0** |
| 3. ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა | 3.1. ბიუჯეტის შესრულების კვარტალური და წლიური ანგარიშგებების წარმოება | **300.0** | | 100.0 | 200.0 | |

| ამოცანა | სამიზნე მაჩვენებლის დასახელება | სულ ჯამი | გრანტის მოცულობა (ათასი ლარი) და გრანტის მიღების პერიოდი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 2021 წელი | 2022 წელი | 2023 წელი | 2024 წელი |
| | 3.2. საზიუჯეტო დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობა | | | | | |
| | 3.3. მოქალაქის გზამკვლევის მომზადება | **400.0** | 100.0 | | 150.0 | 150.0 |
| | სულ | **700.0** | **100.0** | **100.0** | **350.0** | **150.0** |
| 4. საინვესტიციო პროექტების მართვა | 4.1. საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის ერთიანი სისტემის დანერგვა | **900.0** | | 200.0 | 300.0 | 400.0 |
| | სულ | **900.0** | **0.0** | **200.0** | **300.0** | **400.0** |
| სულ ჯამი | | **3,900.0** | **500.0** | **950.0** | **1,400.0** | **1,050.0** |

## დანართი №3

1. *მემორანდუმის დანართით განისაზღვრება საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში მუნიციპალიტეტების მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობისათვის გამოყოფილი კაპიტალური გრანტის მიღების პირობები შემდეგი მუნიციპალიტეტებისათვის:*

- *ზესტაფონი (2020-2022 წწ.)*
- *ხაშური (2020-2022 წწ.)*
- *გურჯაანი (2020-2022 წწ.)*
- *მცხეთა (2020-2022 წწ.)*
- *წყალტუბო (2020-2022 წწ.)*
- *საგარეჯო (2020-2022 წწ.)*
- *სამტრედია (2020-2022 წწ.)*
- *ქობულეთი (2021-2023 წწ.)*
- *ოზურგეთი (2021-2023 წწ.)*
- *თელავი (2021-2023 წწ.)*
- *ბოლნისი (2021-2023 წწ.)*
- *ხელვაჩაური (2023-2025 წწ.)*

### *მემორანდუმის დანართი* №1

*ცხრილ №1-ში წარმოდგენილია მუნიციპალიტეტების მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების მიზნით განსახორციელებელი ამოცანები და ინდიკატორები სამწლიანი პერიოდისათვის;*
*ცხრილ №2-ში წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის მიერ მისაღები გრანტის მოცულობა (ათასი ლარი) და გრანტის მიღების პერიოდი. ამასთან, განკარგულების დანართი №2-ის პირველი პუნქტით მუნიციპალიტეტებისათვის განსაზღვრული სამწლიანი პერიოდის გათვალისწინებით, წარმოდგენილია ცხრილი №2.1 და ცხრილი №2.2.*
*ცხრილი №1-ით წარმოდგენილი ამოცანების საბაზისო მაჩვენებლები განზოგადებულია მუნიციპალიტეტებისათვის, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, დონორების დახმარებით განხორციელებული PEFA შეფასების ინდიკატორების გამოყენებით, მუნიციპალიტეტების შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, ასევე არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით.*

### საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობისათვის მუნიციპალიტეტების მიერ გამოყოფილი კაპიტალური გრანტის მიღების ზოგადი პირობები

1. კაპიტალური გრანტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი ზოგადი პირობები:
   ა) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი აკმაყოფილებს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" $155^1$ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ პირობებს;

ბ) სამიზნე მაჩვენებლების შემოწმებისას მუნიციპალიტეტი ინარჩუნებს წინა წლებისათვის განსაზღვრულ სამიზნე მაჩვენებლებით განსაზღვრულ პირობებთან შესაბამისობას.

2. ზოგადი პირობების და ცხრილი №1-ით განსაზღვრულ სამიზნე მაჩვენებლების შესრულებას ამოწმებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; მუნიციპალიტეტმა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში უნდა წარმოადგინოს ცხრილი №1-ით განსაზღვრული სამიზნე მაჩვენებლების შესრულების შესახებ ინფორმაცია არაუგვიანეს შესაბამისი წლის 10 დეკემბრისა; სამიზნე მაჩვენებლების გადამოწმების მიზნით მუნიციპალიტეტისგან ინფორმაციის მიღება შესაძლებელია განხორციელდეს ელექტრონული ფორმით.
3. კაპიტალური გრანტის ჩარიცხვის მიზნით, სამიზნე მაჩვენებლების შესრულების ვადები განსაზღვრული ცხრილი №1-ით, ხოლო საქართველოს ფინანსთა სამინისტრო გრანტის ჩარიცხვას ახორციელებს ცხრილი №2-ით განსაზღვრულ ვადებში, ამავე ცხრილით განსაზღვრული ოდენობით.

## ცხრილი №1 მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების მიზნით განსახორციელებელი ამოცანები და სამიზნე მაჩვენებლები

| ამოცანა | ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | სამიზნე მაჩვენებელი - პირველი წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მეორე წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მესამე წელი[1] |
|---|---|---|---|---|---|
| 1. საშუალოვადიანი დაგეგმვა და ბიუჯეტირება | 1.1. საბიუჯეტო დოკუმენტაციის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფის მუშაობა | სამუშაო ჯგუფის შექმნის და ამ ჯგუფის მუშაობის ძირითადი საკითხები ფორმალიზებულია პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიით. არსებობს იურიდიული საფუძველი, თუმცა სამუშაო ჯგუფის მუშაობა და პრაქტიკაში და მის მიერ საბიუჯეტო პროცესის სრული კოორდინირება არ ხდება. საბიუჯეტო პროცესი კვლავ აღიქმება ძირითადად საფინანსო სამსახურების ვალდებულებად. ბიუჯეტის მომზადების ქვემოდან ზემოთ დაგეგმვის პრინციპის პრაქტიკაში დასანერგად სამუშაო ჯგუფების როლი საჭიროებს მნიშვნელოვან გაძლიერებას. | **მიზანი:** საბიუჯეტო დოკუმენტაციის მომზადების პროცესის კოორდინაციის მიზნით შექმნილია სამუშაო ჯგუფი პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შესაბამისად. განსაზღვრულია შესაბამისი მუნიციპალური სამსახურების მიერ ინფორმაციის მომზადების ვადები და სამუშაო ჯგუფის შეკრების პერიოდულობა. **გადამოწმების საშუალება:** მუნიციპალიტეტეტის მერის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტი სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი **შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის ივლისი და დეკემბერი; | **მიზანი:** საბიუჯეტო დოკუმენტაციის მომზადების პროცესის კოორდინაციის მიზნით შექმნილია სამუშაო ჯგუფი პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შესაბამისად. განსაზღვრულია შესაბამისი მუნიციპალური სამსახურების მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის მომზადების ვადები და სამუშაო ჯგუფის შეკრების პერიოდულობა. **გადამოწმების საშუალება:** მუნიციპალიტეტეტის მერის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტი სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი; **შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის ივლისი და დეკემბერი; | **მიზანი:** საბიუჯეტო დოკუმენტაციის მომზადების პროცესის კოორდინაციის მიზნით შექმნილია სამუშაო ჯგუფი პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შესაბამისად. განსაზღვრულია შესაბამისი მუნიციპალური სამსახურების მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის მომზადების ვადები და სამუშაო ჯგუფის შეკრების პერიოდულობა. **გადამოწმების საშუალება:** მუნიციპალიტეტეტის მერის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტი სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი; **შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის ივლისი და დეკემბერი; |

[1] ამ დანართის პირველ პუნქტში შესაბამისი მუნიციპალიტეტისთვის მითითებული წლების შესაბამისად.

| ამოცანა | ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | სამიზნე მაჩვენებელი - პირველი წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მეორე წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მესამე წელი[1] |
|---|---|---|---|---|---|
| | **1.2. პრიორიტეტების დოკუმენტი და ასიგნებების ზღვრული მოცულობების დადგენა** | მუნიციპალიტეტი ამზადებს პრიორიტეტების დოკუმენტს, თუმცა მისი სტრუქტურა არ შეესაბამება პროგრამული ბიუჯეტის შედგენის განახლებული მეთოდოლოგიით განსაზღვრულ ფორმატს. მათ შორის, პრიორიტეტების დოკუმენტში არ არის განისაზღვრული პრიორიტეტების მიხედვით ასიგნებების ზღვრული მოცულობები საშუალოვადიანი პერიოდისთვის. ამასთან, პრიორიტეტების დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია არსებითად არ განსხვავდება ბიუჯეტში წარმოდგენილი სტრუქტურისგან. | **მიზანი:** სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებულია პრიორიტეტების საშუალოვადიანი დოკუმენტის პირველადი ვარიანტი, რომლითაც განსაზღვრულია შესაბამისი საშუალოვადიანი პერიოდისთვის პრიორიტეტების ასიგნებების ზღვრული მოცულობები (ჭერები).<br>**გადამოწმების საშუალება:** სამუშაო ჯგუფის ოქმი პრიორიტეტების დოკუმენტის მოწონების შესახებ; შესაბამისი საშუალოვადიანი პერიოდისთვის პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტი, რომელიც გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე;<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის 15 აგვისტო | **მიზანი:** სამუშაო ჯფუგის მიერ მომზადებული პრიორიტეტების დოკუმენტი, რომელიც მოიცავს პრიორიტეტების ძირითად მიმართულებებს და ასიგნებების და რიცხოვნობების ზღვრულ მოცულობებს (ჭერები)შესაბამისი საშუალოვადიანი პერიოდისთვის, მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ფორმატით, მეთოდოლოგიით გათვალისწინებულ ვადებში.<br>**გადამოწმების საშუალება:** სამუშაო ჯგუფის ოქმი პრიორიტეტების დოკუმენტის მოწონების შესახებ; შესაბამისი საშუალოვადიანი პერიოდისთვის პრიორიტეტების დოკუმენტი გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის 15 ნოემბერი | **მიზანი:** შესაბამისი საშუალოვადიანი პერიოდისთვის პრიორიტეტების დოკუმენტში გამიჯნულია პროგრამები არსებული (მიმდინარე) და ახალი ინიციატივების მიხედვით.<br>**გადამოწმების საშუალება:** სამუშაო ჯგუფის ოქმი პრიორიტეტების დოკუმენტის მოწონების შესახებ; შესაბამისი საშუალოვადიანი პერიოდისთვის პრიორიტეტების დოკუმენტი გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე;<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის დეკემბერი |

| ამოცანა | ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | სამიზნე მაჩვენებელი - პირველი წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მეორე წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მესამე წელი[1] |
|---|---|---|---|---|---|
| | **1.3. პროგრამული ბიუჯეტირება** | მუნიციპალიტეტის პროგრამული ბიუჯეტის დანართის ფორმატი და მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება პროგრაული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიით, თუმცა მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტსა და ბიუჯეტში წარმოდგენილია ინფორმაცია პროგრამების აღწერების, შედეგების და ინდიკატორების შესახებ ერთწლიანი პერიოდისთვის და არ შეესაბამება პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის ფორმატს. | **მიზანი:** პროგრამული ბიუჯეტის დანართი მომზადებულია კანონმდებლობით განსაზღვრული ფორმატით ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის (eBudget.ge) მეშვეობით **გადამოწმების საშუალება:** პროგრამული ბიუჯეტის დანართი, რომელიც თან ერთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე. პროგრამული ბიუჯეტის დანართი შევსებულია ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში (eBudget.ge). **შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის დეკემბერი | **მიზანი:** პროგრამული ბიუჯეტის დანართი მომზადებულია კანონმდებლობით განსაზღვრული ფორმატით ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის (eBudget.ge) მეშვეობით. ბიუჯეტით გათვალისწინებული პრიორიტეტების ფარგლებში გათვალისწინებული პროგრამების ჯამური მოცულობის არანაკლებ 25% -ისთვის წარმოდგენილია მოსალოდნელი შედეგები და შეფასების ინდიკატორები პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შესაბამისად. **გადამოწმების საშუალება:** პროგრამული ბიუჯეტის დანართი, რომელიც თან ერთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე. პროგრამული ბიუჯეტის დანართი შევსებულია ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში (eBudget.ge). **შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის დეკემბერი | **მიზანი:** პროგრამული ბიუჯეტის დანართი მომზადებულია კანონმდებლობით განსაზღვრული ფორმატით ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის (eBudget.ge) მეშვეობით. ბიუჯეტით გათვალისწინებული პრიორიტეტების ფარგლებში გათვალისწინებული პროგრამების ჯამური მოცულობის არანაკლებ 50% -ისთვის წარმოდგენილია მოსალოდნელი შედეგები და შეფასების ინდიკატორები პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შესაბამისად. **გადამოწმების საშუალება:** პროგრამული ბიუჯეტის დანართი, რომელიც თან ერთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე. პროგრამული ბიუჯეტის დანართი შევსებულია ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში (eBudget.ge). **შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის დეკემბერი |

| ამოცანა | ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | სამიზნე მაჩვენებელი - პირველი წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მეორე წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მესამე წელი[1] |
|---|---|---|---|---|---|
| | **1.4. სამოქმედო გეგმების მომზადება** | მუნიციპალიტეტის სამოქმედო გეგმის ფორმატი და მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიით. პრიორიტეტების დოკუმენტსა და ბიუჯეტში ნაწილობრივ წარმოდგენილია ინფორმაცია პროგრამების ფარგლებში ღონისძიებების აღწერების, შედეგების და ინდიკატორების შესახებ ერთწლიანი პერიოდისთვის, თუმცა მუნიციპალიტეტი არ ამზადებს სამოქმედო გეგმას მეთოდოლოგიის შესაბამისად. | **მიზანი:** მომზადებულია დასაგეგმი წლის დეტალური სამოქმედო გეგმა, რომელიც შეესაბამება პრიორიტეტების დოკუმენტით დადგენილ ზღვრულ მოცულობებს.<br>**გადამოწმების საშუალება:** სამართლებრივი აქტი სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე; დასაგეგმი წლის სამოქმედო გეგმა გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე<br>**შესრულების ვადა:** პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიით დადგენილ ვადაში. | **მიზანი:** მომზადებულია შესაბამისი საშუალოვადიანი პერიოდისთვის დეტალური სამოქმედო გეგმა, რომელიც შეესაბამება პრიორიტეტების დოკუმენტით დადგენილ ზღვრულ მოცულობებს. სამოქმედო გეგმაში თითოეული პრიორიტეტის ფარგლებში ასიგნებების ჯამური მოცულობის არანაკლებ 25%-თვის წარმოდგენილია მოსალოდნელი შედეგები და შეფასების ინდიკატორები პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შესაბამისად.<br>**გადამოწმების საშუალება:** სამართლებრივი აქტი სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე; საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე<br>**შესრულების ვადა:** პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიით დადგენილ ვადაში. | **მიზანი:** მომზადებულია შესაბამისი საშუალოვადიანი პერიოდის დეტალური საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც შეესაბამება პრიორიტეტების დოკუმენტით დადგენილ ზღვრულ მოცულობებს. სამოქმედო გეგმაში თითოეული პრიორიტეტის ფარგლებში ასიგნებების ჯამური მოცულობის არანაკლებ 50%-თვის წარმოდგენილია მოსალოდნელი შედეგები და შეფასების ინდიკატორები პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შესაბამისად.<br>**გადამოწმების საშუალება:** სამართლებრივი აქტი სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე; საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე<br>**შესრულების ვადა:** პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიით დადგენილ ვადაში. |

| ამოცანა | ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | სამიზნე მაჩვენებელი - პირველი წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მეორე წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მესამე წელი[1] |
|---|---|---|---|---|---|
| | **1.5. დამტკიცებული ბიუჯეტში ცვლილებების რაოდენობა** | მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცვლილებების განხორციელებას ხშირი ხასიათი აქვს და არ არის დამოკიდებული მხოლოდ ერთი მხარჯავი დაწესებულებიდან, მეორე მხარჯავ დაწესებულებაზე ასიგნებების გადატანით, რაც საჭიროებს მუნიციპალტიეტის ბიუჯეტის წარდგენას საკრებულოსთვის და ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულია მუნიციპალიტეტის ნაშთის გადანაწილებით საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში არ ხდება ნაშთის გადანაწილება ბიუჯეტის დამტკიცების დროს, რაც დაგეგმვის ხარვეზზე მიუთითებს. | | **მიზანი:** საკუთარი შემოსავლების ნაწილში მიმდინარე წლის ბიუჯეტში ცვლილებები განხორციელდა არა უმეტეს 4-ჯერ **გადამოწმების საშუალება:** მომზადებული ინფორმაცია დამტკიცებულ ბიუჯეტში საკუთარი შემოსავლების ფარგლებში ცვლილებების განხორციელების რაოდენობის და საჭიროებების შესახებ, რომელიც განთავსებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე. **შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის დეკემბერი | **მიზანი:** მიმდინარე წლის განმავლობაში საკუთარი შემოსავლების ნაწილში განხორციელებული ცვლილებებით დაკორეტირებული ხარჯვითი ნაწილის გეგმები თავდაპირველი გეგმისაგან განსხვავდება არა უმეტეს 10%-ით; **გადამოწმების საშუალება:** მომზადებული ინფორმაცია დამტკიცებულ ბიუჯეტში საკუთარი შემოსავლების ფარგლებში ცვლილებების განხორციელების რაოდენობის და საჭიროებების შესახებ, რომელიც განთავსებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე. **შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის დეკემბერი |

| ამოცანა | ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | სამიზნე მაჩვენებელი - პირველი წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მეორე წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მესამე წელი[1] |
|---|---|---|---|---|---|
| 2. ანგარიშგება და კონტროლი | **2.1. ფინანსური ანგარიშგების წარმოება**[2] | მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგების მომზადება რეგულირდება კანონმდებლობით, კერძოდ, საქართველოს ფინანსთა მინისტროს 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანებით. მუნიციპალიტეტები ან არ ამზადებენ ფინანსური ანგარიშგებებს ან ძირითადად პრაქტიკაში მუნიციპალიტეტის მიერ მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს/საჭიროებს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. ამასთან, მუნიციპალიტეტებს არა აქვთ ფინანსური ანგარიშგების (ბალანსის) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის წარდგენის ვალდებულება. თუმცა საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში უნდა მომზადდეს ცენტრალური მთავრობის 2020 წლის ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგება, რომელსაც დანართების სახით უნდა ქონდეს თანდართული ყველა მუნიციპალიტეტის და ავტონომიურების ნაერთი ბუღალტრული ანგარიში. | **მიზანი:** მუნიციპალიტეტის წინა წლის ფინანსური ანგარიშგება (ბალანსი) მომზადებულია "ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების შესაბამისად და წარდგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის. **გადამოწმების საშუალება:** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის და სახელმწიფო აუდიტისთვის ოფიციალურად გაგზავნილი წინა წლის ფინანსური ანგარიშგება (ბალანსი). **შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის 1 ივლისი | **მიზანი:** მუნიციპალიტეტის წინა წლის ფინანსური ანგარიშგება (ბალანსი) მომზადებულია დარიცხვის მეთოდის შესაბამისი სტანდარტების საფუძველზე და წარდგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის და სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის. **გადამოწმების საშუალება:** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის და სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის ოფიციალურად გაგზავნილი წინა წლის ფინანსური ანგარიშგება (ბალანსი). **შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის 1 ივლისი | **მიზანი:** მუნიციპალიტეტის წინა წლის ფინანსური ანგარიშგება (ბალანსი) მომზადებულია დარიცხვის მეთოდის შესაბამისი სტანდარტების საფუძველზე და წარდგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის და სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის. **გადამოწმების საშუალება:** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის და სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის ოფიციალურად გაგზავნილი წინა წლის ფინანსური ანგარიშგება (ბალანსი). **შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის 1 ივლისი |

[2] *2020-2022 წლებში შესასრულებელი სამიზნე მაჩვენებლები იმ მუნიციპალიტეტებისთვის, რომელთანაც მემორანდუმები გაფორმდა 2019 წელს: ზესტაფონი, წყალტუბო, მცხეთა, გურჯაანი, ხაშური, საგარეჯო, სამტრედია.*

| ამოცანა | ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | სამიზნე მაჩვენებელი - პირველი წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მეორე წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მესამე წელი[1] |
|---|---|---|---|---|---|
| | **2.1[1]. ფინანსური ანგარიშგების წარმოება[3]** | მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგების მომზადება რეგულირდება კანონმდებლობით, კერძოდ, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის №24 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“ ინსტრუქციით. მუნიციპალიტეტის მიერ მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს/საჭიროებს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. | **მიზანი:** მუნიციპალიტეტის წინა წლის ფინანსური ანგარიშგება (ბალანსი) მომზადებულია დარიცხვის მეთოდის შესაბამისი სტანდარტების საფუძველზე და წარდგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის და სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის.<br>**გადამოწმების საშუალება:** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის და სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის ოფიციალურად გაგზავნილი წინა წლის ფინანსური ანგარიშგება.<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის 1 ივლისი | **მიზანი:** მუნიციპალიტეტის წინა წლის ფინანსური ანგარიშგება (ბალანსი) მომზადებულია დარიცხვის მეთოდის შესაბამისი სტანდარტების საფუძველზე და წარდგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის და სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის.<br>**გადამოწმების საშუალება:** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის და სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის ოფიციალურად გაგზავნილი წინა წლის ფინანსური ანგარიშგება.<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის 1 ივლისი | **მიზანი:** მუნიციპალიტეტის წინა წლის ფინანსური ანგარიშგება (ბალანსი) მომზადებულია დარიცხვის მეთოდის შესაბამისი სტანდარტების საფუძველზე და წარდგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის და სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის.<br>**გადამოწმების საშუალება:** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის და სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის ოფიციალურად გაგზავნილი წინა წლის ფინანსური ანგარიშგება.<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის 1 ივლისი |

[3] *2021-2023 წლებში შესასრულებელი სამიზნე მაჩვენებლები იმ მუნიციპალიტეტებისთვის, რომელთანაც მემორანდუმები გაფორმდა 2021 წელს: ქობულეთი, ოზურგეთი, თელავი, ბოლნისი.*

| ამოცანა | ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | სამიზნე მაჩვენებელი - პირველი წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მეორე წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მესამე წელი[1] |
|---|---|---|---|---|---|
| | **2.1². ფინანსური ანგარიშგების წარმოება[4]** | მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგების მომზადება რეგულირდება კანონმდებლობით, კერძოდ, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის №24 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ" ინსტრუქციით. მუნიციპალიტეტის მიერ მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს/საჭიროებს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. | **მიზანი:** მუნიციპალიტეტის წინა წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია სამოქმედოდ შემოღებული დარიცხვის მეთოდის შესაბამისი IPSAS სტანდარტების საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის №24 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ" ინსტრუქციით განსაზღვრული ფორმით და წარდგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში.<br>**გადამოწმების საშუალება:** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის და სახელმწიფო აუდიტისთვის ოფიციალურად გაგზავნილი წინა წლის ფინანსური ანგარიშგება; ასევე, ხაზინის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული წინა წლის ფინანსური ანგარიშგება.<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის 1 ივლისი | **მიზანი:** მუნიციპალიტეტის წინა წლის ფინანსური ანგარიშგება) მომზადებულია სამოქმედოდ შემოღებული დარიცხვის მეთოდის შესაბამისი IPSAS სტანდარტების საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის №24 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ" ინსტრუქციით განსაზღვრული ფორმით და წარდგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის და სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში.<br>**გადამოწმების საშუალება:** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის და სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის ოფიციალურად გაგზავნილი წინა წლის ფინანსური ანგარიშგება; ასევე, ხაზინის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული წინა წლის ფინანსური ანგარიშგება. .<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის 1 ივლისი | **მიზანი:** მუნიციპალიტეტის წინა წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია სამოქმედოდ შემოღებული დარიცხვის მეთოდის შესაბამისი IPSAS სტანდარტების საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის №24 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ" ინსტრუქციით განსაზღვრული ფორმით და წარდგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის და სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის; ასევე, ხაზინის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული წინა წლის ფინანსური ანგარიშგება.<br>**გადამოწმების საშუალება:** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის და სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის ოფიციალურად გაგზავნილი წინა წლის ფინანსური ანგარიშგება.<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის 1 ივლისი |

[4] *2023-2025 წლებში შესასრულებელი სამიზნე მაჩვენებლები იმ მუნიციპალიტეტებისთვის, რომელთანაც მემორანდუმები გაფორმდა 2023 წელს: ხელვაჩაური.*

| ამოცანა | ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | სამიზნე მაჩვენებელი - პირველი წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მეორე წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მესამე წელი[1] |
|---|---|---|---|---|---|
| | **2.2. ვალის შესახებ ინფორმაციის ასახვა ბიუჯეტში** | საბიუჯეტო დოკუმენტაცია არ მოიცავს ინფორმაციას ვალის მთლიანი მოცულობის შესახებ. | **მიზანი:** საბიუჯეტო დოკუმენტაციაში ასახულია ვალის მოცულობა სულ მცირე მიმდინარე წლის დასაწყისისათვის, **გადამოწმების საშუალება:** მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პაკეტი, რომელიც გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე. **შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის ნოემბერი | **მიზანი:** საბიუჯეტო დოკუმენტაციაში ასახულია ვალის მოცულობის პროგნოზი, დასაგეგმი წლის პერიოდის ბოლოსათვის; **გადამოწმების საშუალება:** მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პაკეტი, რომელიც გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე. **შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის ნოემბერი | **მიზანი:** საბიუჯეტო დოკუმენტაციაში ასახულია ვალის მოცულობის პროგნოზი, დასაგეგმი წლის პერიოდის ბოლოსათვის; **გადამოწმების საშუალება:** მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პაკეტი, რომელიც გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე. **შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის ნოემბერი |
| | **2.3. შიდა აუდიტის ანგარიშები და შიდა ფინანსური მართვის და კონტროლის სისტემის ფუნქციონირება** | შიდა აუდიტის სუბიექტების მიერ მომზადებული აუდიტორული შემოწმებები ხშირ შემთხვევაში არ ეყრდნობა რისკების შეფასებას; მუნიციპალიტეტი ძირითადად ამზადებს შესაბამისობის აუდიტს. შესაბამისად, შიდა აუდიტის მიმართულების გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანია რისკის შეფასებაზე დაფუძნებული შემოწმებების მომზადება და რეკომენდაციების მონიტორინგი. | **მიზანი:** რისკის შეფასების საფუძველზე შედგენილი სამოქმედო გეგმის მიხედვით განხორციელებულია აუდიტორული შემოწმება შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის ცენტრთან კონსულტაციით. მომზადებული ანგარიში განხილულია მუნიციპალიტეტის საკრებულოში. **გადამოწმების საშუალება:** მუნიციპალიტეტის მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის ცენტრისთვის ოფიციალურად წარდგენილი ანგარიში; ცენტრის პოზიცია მომზადებული ანგარიშის საერთაშორისო და ადგილობრივ სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ; საკრებულოს სხდომის ოქმი. **შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის სექტემბერი | **მიზანი:** განხორციელებულია მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ წინა წელს მომზადებული შიდა აუდიტორული შემოწმების ანგარიშში წარმოდგენილი რეკომენდაციების მონიტორინგი ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის ცენტრთან კონსულტაციით. **გადამოწმების საშუალება:** მუნიციპალიტეტის მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის ცენტრისთვის ოფიციალურად წარდგენილი ანგარიში; ცენტრის პოზიცია მომზადებული ანგარიშის საერთაშორისო და ადგილობრივ სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ; **შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის სექტემბერი | **მიზანი:** რისკის შეფასების საფუძველზე შედგენილი სამოქმედო გეგმის მიხედვით განხორციელებულია აუდიტორული შემოწმება (არანაკლებ ერთი ეფექტიანობის აუდიტი) შიდა აუდიტის სუბიექტი მიერ ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის ცენტრთან კონსულტაციით. მომზადებული ანგარიში განხილულია მუნიციპალიტეტის საკრებულოში. **გადამოწმების საშუალება:** მუნიციპალიტეტის მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის ცენტრისთვის ოფიციალურად წარდგენილი ანგარიში; ცენტრის პოზიცია მომზადებული ანგარიშის საერთაშორისო და ადგილობრივ სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ; საკრებულოს სხდომის ოქმი. **შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის სექტემბერი |

| ამოცანა | ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | სამიზნე მაჩვენებელი - პირველი წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მეორე წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მესამე წელი[1] |
|---|---|---|---|---|---|
| | **2.4. წარმომადგენლობითი ორგანოს ზედამხედველობა ანგარიშგებებზე** | მუნიციპალიტეტის მიერ მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები ძირითადად არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს. მუნიციპალიტეტების მიერ პრაქტიკაში ძირითადად არ ხორციელდება ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის. | | **მიზანი:** სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ აუდირებული მუნიციპალიტეტის წინა წლის ფინანსური ანგარიშგების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განხილვა საკრებულოში.<br>**გადამოწმების საშუალება:** საკრებულოს შესაბამისი გადაწყვეტილება, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნის არსებობის შემთხვევაში<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის ნოემბერი | **მიზანი:** საკრებულოს მიერ განხილულია წინა წლის სამიზნე მაჩვენებლით განსაზღვრულ ფინანსურ ანგარიშგებაზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინების თაობაზე მუნიციპალიტეტის ანგარიში;<br>**გადამოწმების საშუალება:** მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ანგარიში.<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის ნოემბერი |
| 3. ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა | 3.1. ბიუჯეტის შესრულების კვარტალური და წლიური ანგარიშგებების წარმოება | მუნიციპალიტეტის მიერ მომზადებული კვარტალური და წლიური ანგარიშები ზოგადი ხასიათისაა. კვარტალური ანგარიშები არ მოიცავს ინფორმაციას პროგრამების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიში არ მზადდება პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შესაბამისად. | **მიზანი:** მომზადებულია არანაკლებ მუნიციპალიტეტის მიმდინარე წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიში და წინა წლის ბიუჯეტის წლიური ანგარიში;<br>**გადამოწმების საშუალება:** 6 თვის შესრულების ანგარიში და წლიური ანგარიში, რომელიც განთავსებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე.<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის ივლისი და წლის დეკემბერი. | **მიზანი:** მომზადებულია მუნიციპალიტეტის წინა წლის ბიუჯეტის წლიური შესრულები ანგარიში, რომელიც მოიცავს ინფორმაციას პრიორიტეტების ფარგლებში დაგეგმილი პროგრამების/ქვეპროგრამების შესრულების თაობაზე.<br>**გადამოწმების საშუალება:** წინა წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში, რომელიც განთავსებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე.<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის ივლისი | **მიზანი:** მომზადებულია მუნიციპალიტეტის წინა წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში (პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით) პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შესაბამისად და 1.3 ამოცანის ფარგლებში წინა წლის მიზნის შესაბამისად, არანაკლებ პროგრამების 25%-სთვის წარმოდგენილია ინფორმაცია დაგეგმილთან შედარებით მიღწეული შედეგების და ინდიკატორების შესახებ და განმარტებები დაგეგმილ და მიღწეულ მაჩვენებლებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში.<br>**გადამოწმების საშუალება:** წლიური ანგარიში, რომელიც განთავსებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე.<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის ივლისი. |

| ამოცანა | ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | სამიზნე მაჩვენებელი - პირველი წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მეორე წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მესამე წელი[1] |
|---|---|---|---|---|---|
| | **3.2. საბიუჯეტო დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობა** | ხშირ შემთხვევაში მუნიციპალიტეტი ან არ ამზადებს რიგ საბიუჯეტო დოკუმენტაციას, ან არ არის ხელმისაწვდომი მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით. | **მიზანი:** მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომია საკრებულოში წარდგენილი საბიუჯეტო დოკუმენტაცია (მათ შორის, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტები და მუნიციპალიტეტის დამტკიცებული ბიუჯეტი თანდართულ მასალებთან ერთად, კვარტალური (3, 6 და 9 თვის) და წლიური ანგარიშები).<br>**გადამოწმების საშუალება:** შესაბამისი ინფორმაცია, რომელიც განთავსებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე.<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის ივლისი და დეკემბერი | **მიზანი:** მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომია საკრებულოში წარდგენილი საბიუჯეტო დოკუმენტაცია (მათ შორის, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტები და მუნიციპალიტეტის დამტკიცებული ბიუჯეტი თანდართულ მასალებთან ერთად, კვარტალური (3, 6 და 9 თვის) და წლიური ანგარიშები).<br>**გადამოწმების საშუალება:** შესაბამისი ინფორმაცია, რომელიც განთავსებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე.<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის ივლისი და დეკემბერი | **მიზანი:** მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომია საკრებულოში წარდგენილი საბიუჯეტო დოკუმენტაცია (მათ შორის, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტები და მუნიციპალიტეტის დამტკიცებული ბიუჯეტი თანდართულ მასალებთან ერთად, კვარტალური (3, 6 და 9 თვის) და წლიური ანგარიშები).<br>**გადამოწმების საშუალება:** შესაბამისი ინფორმაცია, რომელიც განთავსებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე.<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის ივლისი და დეკემბერი |

| ამოცანა | ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | სამიზნე მაჩვენებელი - პირველი წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მეორე წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მესამე წელი[1] |
|---|---|---|---|---|---|
| | **3.3. მოქალაქის გზამკვლევის მომზადება** | მუნიციპალიტეტის მიერ რეგულარულად არ მზადდება/არ მზადდება საბიუჯეტო დოკუმენტაციაზე (პრიორიტეტების დოკუმენტი, დამტკიცებული ბიუჯეტი, შესრულების ანგარიშები და სხვა) მოკლე და მოქალაქეებისთვის მარტივად აღქმად ენაზე მომზადებული გზამკვლევი. | **მიზანი:** მომზადებულია მიმდინარე წლის 1 ივლისის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის დაზუსტებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების (მათ შორის კაპიტალური პროექტები) მიმდინარეობის შესახებ მოქალაქის გზამკვლევი. **გადამოწმების საშუალება:** მოქალაქის გზამკვლევი გამოქვეყნებული მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე **შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის აგვისტო | **მიზანი:** მუნიციპალიტეტის მიერ მომზადებულია მოკლე, მოქალაქეებისთვის მარტივად აღსაქმელი ინფორმაცია/გზამკვლევი წინა წლის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშზე და დასაგეგმი წლის დამტკიცებულ ბიუჯეტზე. **გადამოწმების საშუალება:** წინა წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის და დასაგეგმი წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მოკლე გზამკვლევი, რომელიც განთავსებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე. **შესრულების ვადა:** წინა წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის გზამკვლევის მომზადება - შესაბამისი წლის 1 მაისი; დასაგეგმი წლის ბიუჯეტის კანონის მოკლე გზამკვლევი - შესაბამისი წლის დეკემბერი. | **მიზანი:** მუნიციპალიტეტის მიერ მომზადებულია მოკლე, მოქალაქეებისთვის მარტივად აღსაქმელი ინფორმაცია/გზამკვლევი არანაკლებ წინა წლის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშზე და დასაგეგმი წლის დამტკიცებულ ბიუჯეტზე. **გადამოწმების საშუალება:** წინა წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის და დასაგეგმი წლის დამტკიცებულ ბიუჯეტზე მოკლე გზამკვლევი, რომელიც განთავსებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე. **შესრულების ვადა:** წინა წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის გზამკვლევის მომზადება - შესაბამისი წლის 1 მაისი; დასაგეგმი წლის ბიუჯეტის კანონის მოკლე გზამკვლევი - შესაბამისი წლის დეკემბერი |

| ამოცანა | ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | სამიზნე მაჩვენებელი - პირველი წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მეორე წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მესამე წელი[1] |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 4. საინვესტიციო პროექტების მართვა | **4.1 საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის ერთიანი სისტემის დანერგვა** | საქართველოს მთავრობის 2016 წლის 22 აპრილის №191 დადგენილებით დამტკიცდა საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევი, რომლის საფუძველზე მომზადდა დეტალური მეთოდოლოგია (საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 22 ივლისის N165 ბრძანება (ცვლილება „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანებაში). ზემოაღნიშნული გზამკვლევი და მეთოდოლოგია ვრცელდება საინვესტიციო/კაპიტალურ პროექტებზე, რომლის ღირებულება შეადგენს ან აღემატება 5.0 მლნ ლარს. თუმცა, მნიშვნელოვანია რომ აღნიშნული პრაქტიკა დაინერგოს 5.0 მლნ ლარზე ნაკლები ღირებულების საინვესტიციო პროექტებზე, მუნიციპალიტეტების სპეციფიკის გათვალისწინებით. | **მიზანი:** მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელ ყველაზე მსხვილ ერთ ახალ საინვესტიციო/კაპიტალურ პროექტზე, რომლის განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილება არ არის მიღებული მომზადებულია კონცეფციის ბარათი და ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზი საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევის და მეთოდოლოგიის შესაბამისად, აღნიშნული პროექტების ბიუჯეტში გათვალისწინებამდე.<br>**გადამოწმების საშუალება:** ახალი პროექტებზე მომზადებული კონცეფციის ბარათები და ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზი გადაგზავნილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროში; შესაბამისი ინფორმაცია ასახულია შესაბამისი საშუალოვადიანი წლების პრიორიტეტების დოკუმენტში და დასაგეგმი წლის ბიუჯეტში.<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის დეკემბერი | **მიზანი:** მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელ ყველაზე მსხვილ ორ ახალ საინვესტიციო/კაპიტალურ პროექტზე, რომლის განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილება არ არის მიღებული მომზადებულია კონცეფციის ბარათი და ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზი საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევის და მეთოდოლოგიის შესაბამისად, აღნიშნული პროექტების ბიუჯეტში გათვალისწინებამდე.<br>**გადამოწმების საშუალება:** ახალი პროექტებზე მომზადებული კონცეფციის ბარათები და ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზი გადაგზავნილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროში; შესაბამისი ინფორმაცია ასახულია შესაბამისი საშუალოვადიანი წლების პრიორიტეტების დოკუმენტში და დასაგეგმი წლის ბიუჯეტში.<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის დეკემბერი | **მიზანი:** მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელ ყველაზე მსხვილ სამ ახალ საინვესტიციო/კაპიტალურ პროექტზე, რომლის განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილება არ არის მიღებული მომზადებულია კონცეფციის ბარათები და ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზი საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევის და მეთოდოლოგიის შესაბამისად, აღნიშნული პროექტების ბიუჯეტში გათვალისწინებამდე.<br>**გადამოწმების საშუალება:** ახალი პროექტებზე მომზადებული კონცეფციის ბარათები და ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზი გადაგზავნილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროში; შესაბამისი ინფორმაცია ასახულია შესაბამისი საშუალოვადიანი წლების პრიორიტეტების დოკუმენტში და დასაგეგმი წლის ბიუჯეტში.<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის დეკემბერი |

ცხრილი №2 მუნიციპალიტეტისათვის მისაღები გრანტის მოცულობა (ათასი ლარი) და გრანტის მიღების პერიოდი

ცხრილი №2.1

- ზესტაფონი (2020-2023)
- ხაშური (2020-2023)
- გურჯაანი (2020-2023)
- მცხეთა (2020-2023)
- წყალტუბო (2020-2023)
- საგარეჯო (2020-2023)
- სამტრედია (2020-2023)

| ამოცანა | სამიზნე მაჩვენებლის დასახელება | სულ ჯამი | გრანტის მოცულობა (ათასი ლარი) და გრანტის მიღების პერიოდი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 2020 წელი | 2021 წელი | 2022 წელი | 2023 წელი |
| 1. საშუალოვადიანი დაგეგმვა და ბიუჯეტირება | 1.1. საბიუჯეტო დოკუმენტაციის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფის მუშაობა | **200.0** | 100.0 | 100.0 | | |
| | 1.2. პრიორიტეტების დოკუმენტი და ასიგნებების ზღვრული მოცულობების დადგენა | | | | | |
| | 1.3. პროგრამული ბიუჯეტირება | **450.0** | | 100.0 | 150.0 | 200.0 |
| | 1.4. სამოქმედო გეგმების მომზადება | **450.0** | 100.0 | 150.0 | 200.0 | |
| | 1.5. დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების რაოდენობა | **300.0** | | | 100.0 | 200.0 |
| | სულ | **1,400.0** | **200.0** | **350.0** | **450.0** | **400.0** |
| 2. ანგარიშგება და კონტროლი | 2.1. ფინანსური ანგარიშგების წარმოება | **100.0** | | 100.0 | | |
| | 2.2. ვალის შესახებ ინფორმაციის ასახვა ბიუჯეტში | | | | | |

| ამოცანა | სამიზნე მაჩვენებლის დასახელება | სულ ჯამი | გრანტის მოცულობა (ათასი ლარი) და გრანტის მიღების პერიოდი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 2020 წელი | 2021 წელი | 2022 წელი | 2023 წელი |
| | 2.3. შიდა აუდიტის ანგარიშები და შიდა ფინანსური მართვის და კონტროლის სისტემის ფუნქციონირება | **300.0** | 100.0 | 100.0 | 100.0 | |
| | 2.4. წარმომადგენლობითი ორგანოს ზედამხედველობა ანგარიშგებებზე | **200.0** | | 100.0 | 100.0 | |
| | სულ | **600.0** | **100.0** | **300.0** | **200.0** | **0.0** |
| 3. ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა | 3.1. ბიუჯეტის შესრულების კვარტალური და წლიური ანგარიშგებების წარმოება<br>3.2. საბიუჯეტო დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობა | **300.0** | | 100.0 | 200.0 | |
| | 3.3. მოქალაქის გზამკვლევის მომზადება | **300.0** | 100.0 | | 100.0 | 100.0 |
| | სულ | **600.0** | **100.0** | **100.0** | **300.0** | **100.0** |
| 4. საინვესტიციო პროექტების მართვა | 4.1. საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის ერთიანი სისტემის დანერგვა | **500.0** | | | 200.0 | 300.0 |
| | სულ | **500.0** | **0.0** | **0.0** | **200.0** | **300.0** |
| სულ ჯამი | | **3,100.0** | **400.0** | **750.0** | **1,150.0** | **800.0** |

ცხრილი №2.2

- ქობულეთი (2021-2024 წწ)
- ოზურგეთი (2021-2024 წწ)
- თელავი (2021-2024 წწ)
- ბოლნისი (2021-2024 წწ)
- ხელვაჩაური (2023-2026 წწ.)

| ამოცანა | სამიზნე მაჩვენებლის დასახელება | სულ ჯამი | გრანტის მოცულობა (ათასი ლარი) და გრანტის მიღების პერიოდი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | პირველი წელი[5] | მეორე წელი[3] | მესამე წელი[3] | მეოთხე წელი[3] |
| 1. საშუალოვადიანი დაგეგმვა და ბიუჯეტირება | 1.1. საბიუჯეტო დოკუმენტაციის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფის მუშაობა<br>1.2. პრიორიტეტების დოკუმენტი და ასიგნებების ზღვრული მოცულობების დადგენა | **100.0** | 100.0 | | | |
| | 1.3. პროგრამული ბიუჯეტირება | **450.0** | | 100.0 | 150.0 | 200.0 |
| | 1.4. სამოქმედო გეგმების მომზადება | **450.0** | 100.0 | 150.0 | 200.0 | |
| | 1.5. დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების რაოდენობა | **300.0** | | | 100.0 | 200.0 |
| | სულ | **1,300.0** | **200.0** | **250.0** | **450.0** | **400.0** |
| 2. ანგარიშგება და კონტროლი | 2.1. ფინანსური ანგარიშგების წარმოება<br>2.2. ვალის შესახებ ინფორმაციის ასახვა ბიუჯეტში | **100.0** | | 100.0 | | |
| | 2.3. შიდა აუდიტის ანგარიშები და შიდა ფინანსური მართვის და კონტროლის სისტემის ფუნქციონირება | **300.0** | 100.0 | 100.0 | 100.0 | |

[5] ამ ცხრილით განსაზღვრული შესაბამისი მუნიციპალიტეტისთვის მითითებული წლების მიხედვით 2021-2024 ან 2023-2026 წლები.

| ამოცანა | სამიზნე მაჩვენებლის დასახელება | სულ ჯამი | გრანტის მოცულობა (ათასი ლარი) და გრანტის მიღების პერიოდი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | პირველი წელი[5] | მეორე წელი[3] | მესამე წელი[3] | მეოთხე წელი[3] |
| | 2.4. წარმომადგენლობითი ორგანოს ზედამხედველობა ანგარიშგებებზე | **200.0** | | 100.0 | 100.0 | |
| | სულ | **600.0** | **100.0** | **300.0** | **200.0** | **0.0** |
| 3. ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა | 3.1. ბიუჯეტის შესრულების კვარტალური და წლიური ანგარიშგებების წარმოება<br>3.2. საბიუჯეტო დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობა | **300.0** | | 100.0 | 200.0 | |
| | 3.3. მოქალაქის გზამკვლევის მომზადება | **300.0** | 100.0 | | 100.0 | 100.0 |
| | სულ | **600.0** | **100.0** | **100.0** | **300.0** | **100.0** |
| 4. საინვესტიციო პროექტების მართვა | 4.1. საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის ერთიანი სისტემის დანერგვა | **900.0** | | 200.0 | 300.0 | 400.0 |
| | სულ | **900.0** | **0.0** | **200.0** | **300.0** | **400.0** |
| სულ ჯამი | | **3,400.0** | **400.0** | **850.0** | **1,250.0** | **900.0** |

# დანართი №4

1. *მემორანდუმის დანართით განისაზღვრება საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში მუნიციპალიტეტების მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობისათვის გამოყოფილი კაპიტალური გრანტის მიღების პირობები შემდეგი მუნიციპალიტეტებისათვის:*

- ***ქ. ფოთი (2020-2022 წწ.)***
- ***ლანჩხუთი (2020-2022 წწ.)***
- ***ახალქალაქი (2020-2022 წწ.)***
- ***მარტვილი (2020-2022 წწ.)***
- ***ლაგოდეხი (2020-2022 წწ.)***
- ***თერჯოლა (2020-2022 წწ.)***
- ***ქარელი (2020-2022 წწ.)***
- ***ხობი (2020-2022 წწ.)***
- ***კასპი (2020-2022 წწ.)***
- ***სენაკი (2020-2022 წწ.)***
- ***ასპინძა (2021-2023 წწ.)***
- ***ჭიათურა (2021-2023 წწ.)***
- ***ახალციხე (2021-2023 წწ.)***
- ***საჩხერე (2021-2023 წწ.)***
- ***ახმეტა (2023-2025 წწ.)***

### *მემორანდუმის დანართი* №1

*ცხრილ №1-ში წარმოდგენილია მუნიციპალიტეტების მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების მიზნით განსახორციელებელი ამოცანები და ინდიკატორები სამწლიანი პერიოდისთვის;*
*ცხრილ №2-ში წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის მიერ მისაღები გრანტის მოცულობა (ათასი ლარი) და გრანტის მიღების პერიოდი. ამასთან, განკარგულების დანართი №2-ის პირველი პუნქტით მუნიციპალიტეტებისათვის განსაზღვრული სამწლიანი პერიოდის გათვალისწინებით, წარმოდგენილია ცხრილი №2.1 და ცხრილი №2.2.*
*ცხრილი №1-ით წარმოდგენილი ამოცანების საბაზისო მაჩვენებლები განზოგადებულია მუნიციპალიტეტებისათვის, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, დონორების დახმარებით განხორციელებული PEFA შეფასების ინდიკატორების გამოყენებით, მუნიციპალიტეტების შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, ასევე არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით.*

## საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობისათვის მუნიციპალიტეტების მიერ გამოყოფილი კაპიტალური გრანტის მიღების ზოგადი პირობები

1. კაპიტალური გრანტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი ზოგადი პირობები:

ა) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი აკმაყოფილებს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 155[1] მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ პირობებს;

ბ) სამიზნე მაჩვენებლების შემოწმებისას მუნიციპალიტეტი ინარჩუნებს წინა წლებისათვის განსაზღვრულ სამიზნე მაჩვენებლებით განსაზღვრულ პირობებთან შესაბამისობას.

2. ზოგადი პირობების და ცხრილი №1-ით განსაზღვრულ სამიზნე მაჩვენებლების შესრულებას ამოწმებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; მუნიციპალიტეტმა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში უნდა წარმოადგინოს ცხრილი №1-ით განსაზღვრული სამიზნე მაჩვენებლების შესრულების შესახებ ინფორმაცია არა უგვიანეს შესაბამისი წლის 10 დეკემბრისა; სამიზნე მაჩვენებლების გადამოწმების მიზნით მუნიციპალიტეტისგან ინფორმაციის მიღება შესაძლებელია განხორციელდეს ელექტრონული ფორმით.
3. კაპიტალური გრანტის ჩარიცხვის მიზნით, სამიზნე მაჩვენებლების შესრულების ვადები განსაზღვრულია ცხრილი №1-ით, ხოლო საქართველოს ფინანსთა სამინისტრო გრანტის ჩარიცხვას ახორციელებს ცხრილი №2-ით განსაზღვრულ ვადებში, ამავე ცხრილით განსაზღვრული ოდენობით.

## ცხრილი №1 მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების მიზნით განსახორციელებელი ამოცანები და სამიზნე მაჩვენებლები

| ამოცანა | ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | სამიზნე მაჩვენებელი - პირველი წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მეორე წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მესამე წელი[1] |
|---|---|---|---|---|---|
| 1. საშუალოვადიანი დაგეგმვა და ბიუჯეტირება | **1.1. საბიუჯეტო დოკუმენტაციის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფის მუშაობა** | სამუშაო ჯგუფის შექმნის და ამ ჯგუფის მუშაობის ძირითადი საკითხები ფორმალიზებულია პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიით. არსებობს იურიდიული საფუძველი, თუმცა სამუშაო ჯგუფის მუშაობა და პრაქტიკაში და მის მიერ საბიუჯეტო პროცესის სრული კოორდინირება არ ხდება. საბიუჯეტო პროცესი კვლავ აღიქმება ძირითადად საფინანსო სამსახურების ვალდებულებად. ბიუჯეტის მომზადების ქვემოდან ზემოთ დაგეგმვის პრინციპის პრაქტიკაში დასანერგად სამუშაო ჯგუფების როლი საჭიროებს მნიშვნელოვან გაძლიერებას. | **მიზანი:** საბიუჯეტო დოკუმენტაციის მომზადების პროცესის კოორდინაციის მიზნით შექმნილია სამუშაო ჯგუფი პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შესაბამისად. განსაზღვრულია შესაბამისი მუნიციპალური სამსახურების მიერ ინფორმაციის მომზადების ვადები და სამუშაო ჯგუფის შეკრების პერიოდულობა.<br>**გადამოწმების საშუალება:** მუნიციპალიტეტეტის მერის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტი სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის ივლისი და დეკემბერი; | **მიზანი:** საბიუჯეტო დოკუმენტაციის მომზადების პროცესის კოორდინაციის მიზნით შექმნილია სამუშაო ჯგუფი პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შესაბამისად. განსაზღვრულია შესაბამისი მუნიციპალური სამსახურების მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის მომზადების ვადები და სამუშაო ჯგუფის შეკრების პერიოდულობა.<br>**გადამოწმების საშუალება:** მუნიციპალიტეტეტის მერის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტი სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი;<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის ივლისი და დეკემბერი; | **მიზანი:** საბიუჯეტო დოკუმენტაციის მომზადების პროცესის კოორდინაციის მიზნით შექმნილია სამუშაო ჯგუფი პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შესაბამისად. განსაზღვრულია შესაბამისი მუნიციპალური სამსახურების მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის მომზადების ვადები და სამუშაო ჯგუფის შეკრების პერიოდულობა.<br>**გადამოწმების საშუალება:** მუნიციპალიტეტეტის მერის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტი<br>სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი;<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის ივლისი და დეკემბერი; |

[1] ამ დანართის პირველ პუნქტში შესაბამისი მუნიციპალიტეტისთვის მითითებული წლების შესაბამისად.

| ამოცანა | ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | სამიზნე მაჩვენებელი - პირველი წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მეორე წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მესამე წელი[1] |
|---|---|---|---|---|---|
| | **1.2. პრიორიტეტების დოკუმენტი და ასიგნებების ზღვრული მოცულობების დადგენა** | მუნიციპალიტეტი ამზადებს პრიორიტეტების დოკუმენტს, თუმცა მისი სტრუქტურა არ შეესაბამება პროგრამული ბიუჯეტის შედგენის განახლებული მეთოდოლოგიით განსაზღვრულ ფორმატს. მათ შორის, პრიორიტეტების დოკუმენტში არ არის განისაზღვრული პრიორიტეტების მიხედვით ასიგნებების ზღვრული მოცულობები საშუალოვადიანი პერიოდისთვის. ამასთან, პრიორიტეტების დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია არსებითად არ განსხვავდება ბიუჯეტში წარმოდგენილი სტრუქტურისგან. | **მიზანი:** სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებულია პრიორიტეტების საშუალოვადიანი დოკუმენტის პირველადი ვარიანტი, რომლითაც განსაზღვრულია შესაბამისი საშუალოვადიანი პერიოდისთვის პრიორიტეტების ასიგნებების ზღვრული მოცულობები (ჭერები). **გადამოწმების საშუალება:** სამუშაო ჯგუფის ოქმი პრიორიტეტების დოკუმენტის მოწონების შესახებ; შესაბამისი საშუალოვადიანი პერიოდის პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტი, რომელიც გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე; **შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის 15 აგვისტო | **მიზანი:** სამუშაო ჯფუგის მიერ მომზადებული პრიორიტეტების დოკუმენტი, რომელიც მოიცავს პრიორიტეტების ძირითად მიმართულებებს და ასიგნებების და რიცხოვნობების ზღვრულ მოცულობებს (ჭერები) შესაბამისი საშუალოვადიანი პერიოდისთვის, მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ფორმატით, მეთოდოლოგიით გათვალისწინებულ ვადებში. **გადამოწმების საშუალება:** სამუშაო ჯგუფის ოქმი პრიორიტეტების დოკუმენტის მოწონების შესახებ; შესაბამისი საშუალოვადიანი პერიოდის პრიორიტეტების დოკუმენტი გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე **შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის 15 ნოემბერი | **მიზანი:** შესაბამისი საშუალოვადიანი პერიოდის პრიორიტეტების დოკუმენტში გამიჯნულია პროგრამები არსებული (მიმდინარე) და ახალი ინიციატივების მიხედვით. **გადამოწმების საშუალება:** სამუშაო ჯგუფის ოქმი პრიორიტეტების დოკუმენტის მოწონების შესახებ; შესაბამისი საშუალოვადიანი პერიოდის პრიორიტეტების დოკუმენტი გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე; **შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის დეკემბერი |

| ამოცანა | ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | სამიზნე მაჩვენებელი - პირველი წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მეორე წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მესამე წელი[1] |
|---|---|---|---|---|---|
| | **1.3. პროგრამული ბიუჯეტირება** | მუნიციპალიტეტის პროგრამული ბიუჯეტის დანართის ფორმატი და მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიით, თუმცა მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტსა და ბიუჯეტში წარმოდგენილია ინფორმაცია პროგრამების აღწერების, შედეგების და ინდიკატორების შესახებ ერთწლიანი პერიოდისთვის და არ შეესაბამება პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის ფორმატს. | **მიზანი:** პროგრამული ბიუჯეტის დანართი მომზადებულია კანონმდებლობით განსაზღვრული ფორმატით, ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის (eBudget.ge) მეშვეობით. **გადამოწმების საშუალება:** პროგრამული ბიუჯეტის დანართი, რომელიც თან ერთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე. პროგრამული ბიუჯეტის დანართი შევსებულია ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში (eBudget.ge). **შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის დეკემბერი | **მიზანი:** პროგრამული ბიუჯეტის დანართი მომზადებულია კანონმდებლობით განსაზღვრული ფორმატით, ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის (eBudget.ge) მეშვეობით. ბიუჯეტით გათვალისწინებული პრიორიტეტების ფარგლებში გათვალისწინებული პროგრამების ჯამური მოცულობის არანაკლებ 25% -ისთვის წარმოდგენილია მოსალოდნელი შედეგები და შეფასების ინდიკატორები პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შესაბამისად. **გადამოწმების საშუალება:** პროგრამული ბიუჯეტის დანართი, რომელიც თან ერთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე. პროგრამული ბიუჯეტის დანართი შევსებულია ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში (eBudget.ge). **შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის დეკემბერი | **მიზანი:** პროგრამული ბიუჯეტის დანართი მომზადებულია კანონმდებლობით განსაზღვრული ფორმატით ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის (eBudget.ge) მეშვეობით. ბიუჯეტით გათვალისწინებული პრიორიტეტების ფარგლებში გათვალისწინებული პროგრამების ჯამური მოცულობის არანაკლებ 50% -ისთვის წარმოდგენილია მოსალოდნელი შედეგები და შეფასების ინდიკატორები პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შესაბამისად. **გადამოწმების საშუალება:** პროგრამული ბიუჯეტის დანართი, რომელიც თან ერთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე. პროგრამული ბიუჯეტის დანართი შევსებულია ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში (eBudget.ge). **შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის დეკემბერი |

| ამოცანა | ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | სამიზნე მაჩვენებელი - პირველი წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მეორე წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მესამე წელი[1] |
|---|---|---|---|---|---|
| | **1.4. სამოქმედო გეგმების მომზადება** | მუნიციპალიტეტის სამოქმედო გეგმის ფორმატი და მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიით. პრიორიტეტების დოკუმენტსა და ბიუჯეტში ნაწილობრივ წარმოდგენილია ინფორმაცია პროგრამების ფარგლებში ღონისძიებების აღწერების, შედეგების და ინდიკატორების შესახებ ერთწლიანი პერიოდისთვის, თუმცა მუნიციპალიტეტი არ ამზადებს სამოქმედო გეგმას მეთოდოლოგიის შესაბამისად. | **მიზანი:** მომზადებულია დასაგეგმი წლის დეტალური სამოქმედო გეგმა, რომელიც შეესაბამება პრიორიტეტების დოკუმენტით დადგენილ ზღვრულ მოცულობებს.<br>**გადამოწმების საშუალება:** სამართლებრივი აქტი სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე; დასაგეგმი წლის სამოქმედო გეგმა გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე<br>**შესრულების ვადა:** პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიით დადგენილ ვადაში. | **მიზანი:** მომზადებულია შესაბამისი საშუალოვადიანი პერიოდის დეტალური სამოქმედო გეგმა, რომელიც შეესაბამება პრიორიტეტების დოკუმენტით დადგენილ ზღვრულ მოცულობებს. სამოქმედო გეგმაში თითოეული პრიორიტეტის ფარგლებში ასიგნებების ჯამური მოცულობის არანაკლებ 25%-თვის წარმოდგენილია მოსალოდნელი შედეგები და შეფასების ინდიკატორები პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შესაბამისად.<br>**გადამოწმების საშუალება:** სამართლებრივი აქტი სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე; საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე<br>**შესრულების ვადა:** პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიით დადგენილ ვადაში. | **მიზანი:** მომზადებულია შესაბამისი საშუალოვადიანი პერიოდის დეტალური საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც შეესაბამება პრიორიტეტების დოკუმენტით დადგენილ ზღვრულ მოცულობებს. სამოქმედო გეგმაში თითოეული პრიორიტეტის ფარგლებში ასიგნებების ჯამური მოცულობის არანაკლებ 50%-თვის წარმოდგენილია მოსალოდნელი შედეგები და შეფასების ინდიკატორები პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შესაბამისად.<br>**გადამოწმების საშუალება:** სამართლებრივი აქტი სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე; საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე<br>**შესრულების ვადა:** პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიით დადგენილ ვადაში. |

| ამოცანა | ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | სამიზნე მაჩვენებელი - პირველი წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მეორე წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მესამე წელი[1] |
|---|---|---|---|---|---|
| | **1.5. დამტკიცებული ბიუჯეტში ცვლილებების რაოდენობა** | მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცვლილებების განხორციელებას ხშირი ხასიათი აქვს და არ არის დამოკიდებული მხოლოდ ერთი მხარჯავი დაწესებულებიდან, მეორე მხარჯავ დაწესებულებაზე ასიგნებების გადატანით, რაც საჭიროებს მუნიციპალტიეტის ბიუჯეტის წარდგენას საკრებულოსთვის და ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულია მუნიციპალიტეტის ნაშთის გადანაწილებით საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში არ ხდება ნაშთის გადანაწილება ბიუჯეტის დამტკიცების დროს, რაც დაგეგმვის ხარვეზზე მიუთითებს. | | **მიზანი:** საკუთარი შემოსავლების ნაწილში წინა წლის ბიუჯეტში ცვლილებები განხორციელდა არა უმეტეს 4-ჯერ<br>**გადამოწმების საშუალება:** მომზადებული ინფორმაცია დამტკიცებულ ბიუჯეტში საკუთარი შემოსავლების ფარგლებში ცვლილებების განხორციელების რაოდენობის და საჭიროებების შესახებ, რომელიც განთავსებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე.<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის დეკემბერი | **მიზანი:** წლის განმავლობაში საკუთარი შემოსავლების ნაწილში განხორციელებული ცვლილებებით დაკორექტირებული ხარჯვითი ნაწილის გეგმები თავდაპირველი გეგმისაგან განსხვავდება არა უმეტეს 10%-ით;<br>**გადამოწმების საშუალება:** მომზადებული ინფორმაცია დამტკიცებულ ბიუჯეტში საკუთარი შემოსავლების ფარგლებში ცვლილებების განხორციელების რაოდენობის და საჭიროებების შესახებ, რომელიც განთავსებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე.<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის დეკემბერი |

| ამოცანა | ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | სამიზნე მაჩვენებელი - პირველი წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მეორე წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მესამე წელი[1] |
|---|---|---|---|---|---|
| 2. ანგარიშგება და კონტროლი | 2.1. ფინანსური ანგარიშგების წარმოება[2] | მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგების მომზადება რეგულირდება კანონმდებლობით, კერძოდ, საქართველოს ფინანსთა მინისტროს 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანებით. მუნიციპალიტეტები ან არ ამზადებენ ფინანსური ანგარიშგებებს ან ძირითადად პრაქტიკაში მუნიციპალიტეტის მიერ მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს/საჭიროებს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. ამასთან, მუნიციპალიტეტებს არა აქვთ ფინანსური ანგარიშგების (ბალანსის) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის წარდგენის ვალდებულება. თუმცა საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში უნდა მომზადდეს ცენტრალური მთავრობის 2020 წლის ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგება, რომელსაც დანართების სახით უნდა ქონდეს თანდართული ყველა მუნიციპალიტეტის და ავტონომიურების ნაერთი ბუღალტრული ანგარიში. | **მიზანი:** მუნიციპალიტეტის წინა წლის ფინანსური ანგარიშგება (ბალანსი) მომზადებულია "ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების შესაბამისად და წარდგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის.<br>**გადამოწმების საშუალება:** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის და სახელმწიფო აუდიტისთვის ოფიციალურად გაგზავნილი წინა წლის ფინანსური ანგარიშგება (ბალანსი).<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის 1 ივლისი | **მიზანი:** მუნიციპალიტეტის წინა წლის ფინანსური ანგარიშგება (ბალანსი) მომზადებულია დარიცხვის მეთოდის შესაბამისი სტანდარტების საფუძველზე და წარდგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის და სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის.<br>**გადამოწმების საშუალება:** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის და სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის ოფიციალურად გაგზავნილი წინა წლის ფინანსური ანგარიშგება (ბალანსი).<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის 1 ივლისი | **მიზანი:** მუნიციპალიტეტის წინა წლის ფინანსური ანგარიშგება (ბალანსი) მომზადებულია დარიცხვის მეთოდის შესაბამისი სტანდარტების საფუძველზე და წარდგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის და სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის.<br>**გადამოწმების საშუალება:** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის და სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის ოფიციალურად გაგზავნილი წინა წლის ფინანსური ანგარიშგება (ბალანსი).<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის 1 ივლისი |

[2] *2020-2022 წლებში შესასრულებელი სამიზნე მაჩვენებლები* *იმ მუნიციპალიტეტებისთვის, რომელთანაც მემორანდუმები გაფორმდა 2019 წელს: ქ. ფოთი, ახალქალაქი, კასპი, ლაგოდეხი, ქარელი, სენაკი, თერჯოლა, მარტვილი, ლანჩხუთი, ხობი.*

| ამოცანა | ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | სამიზნე მაჩვენებელი - პირველი წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მეორე წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მესამე წელი[1] |
|---|---|---|---|---|---|
| | **2.1[1]. ფინანსური ანგარიშგების წარმოება[3]** | მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგების მომზადება რეგულირდება კანონმდებლობით, კერძოდ, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის №24 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“ ინსტრუქციით. მუნიციპალიტეტის მიერ მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს/საჭიროებს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. | **მიზანი:** მუნიციპალიტეტის წინა წლის ფინანსური ანგარიშგება (ბალანსი) მომზადებულია დარიცხვის მეთოდის შესაბამისი სტანდარტების საფუძველზე და წარდგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის და სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის.<br>**გადამოწმების საშუალება:** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის და სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის ოფიციალურად გაგზავნილი წინა წლის ფინანსური ანგარიშგება.<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის 1 ივლისი | **მიზანი:** მუნიციპალიტეტის წინა წლის ფინანსური ანგარიშგება (ბალანსი) მომზადებულია დარიცხვის მეთოდის შესაბამისი სტანდარტების საფუძველზე და წარდგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის და სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის.<br>**გადამოწმების საშუალება:** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის და სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის ოფიციალურად გაგზავნილი წინა წლის ფინანსური ანგარიშგება.<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის 1 ივლისი | **მიზანი:** მუნიციპალიტეტის წინა წლის ფინანსური ანგარიშგება (ბალანსი) მომზადებულია დარიცხვის მეთოდის შესაბამისი სტანდარტების საფუძველზე და წარდგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის და სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის.<br>**გადამოწმების საშუალება:** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის და სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის ოფიციალურად გაგზავნილი წინა წლის ფინანსური ანგარიშგება.<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის 1 ივლისი |

[3] *2021-2023 წლებში შესასრულებელი სამიზნე მაჩვენებლები იმ მუნიციპალიტეტებისთვის, რომელთანაც მემორანდუმები გაფორმდა 2021 წელს: ასპინძა, ჭიათურა, ახალციხე, საჩხერე.*

| ამოცანა | ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | სამიზნე მაჩვენებელი - პირველი წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მეორე წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მესამე წელი[1] |
|---|---|---|---|---|---|
| | **2.1[2]. ფინანსური ანგარიშგების წარმოება[4]** | მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგების მომზადება რეგულირდება კანონმდებლობით, კერძოდ, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის №24 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ" ინსტრუქციით. მუნიციპალიტეტის მიერ მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს/საჭიროებს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. | **მიზანი:** მუნიციპალიტეტის წინა წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია სამოქმედოდ შემოღებული დარიცხვის მეთოდის შესაბამისი IPSAS სტანდარტების საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის №24 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ" ინსტრუქციით განსაზღვრული ფორმით და წარდგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში.<br>**გადამოწმების საშუალება:** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის და სახელმწიფო აუდიტისთვის ოფიციალურად გაგზავნილი წინა წლის ფინანსური ანგარიშგება; ასევე, ხაზინის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული წინა წლის ფინანსური ანგარიშგება.<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის 1 ივლისი | **მიზანი:** მუნიციპალიტეტის წინა წლის ფინანსური ანგარიშგება) მომზადებულია სამოქმედოდ შემოღებული დარიცხვის მეთოდის შესაბამისი IPSAS სტანდარტების საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის №24 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ" ინსტრუქციით განსაზღვრული ფორმით და წარდგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის და სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში.<br>**გადამოწმების საშუალება:** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის და სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის ოფიციალურად გაგზავნილი წინა წლის ფინანსური ანგარიშგება; ასევე, ხაზინის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული წინა წლის ფინანსური ანგარიშგება.<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის 1 ივლისი | **მიზანი:** მუნიციპალიტეტის წინა წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია სამოქმედოდ შემოღებული დარიცხვის მეთოდის შესაბამისი IPSAS სტანდარტების საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის №24 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ" ინსტრუქციით განსაზღვრული ფორმით და წარდგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის და სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის; ასევე, ხაზინის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული წინა წლის ფინანსური ანგარიშგება.<br>**გადამოწმების საშუალება:** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის და სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის ოფიციალურად გაგზავნილი წინა წლის ფინანსური ანგარიშგება.<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის 1 ივლისი |

[4] *2023-2025 წლებში შესასრულებელი სამიზნე მაჩვენებლები იმ მუნიციპალიტეტებისთვის, რომელთანაც მემორანდუმები გაფორმდა 2022 წელს: ახმეტა.*

| ამოცანა | ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | სამიზნე მაჩვენებელი - პირველი წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მეორე წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მესამე წელი[1] |
|---|---|---|---|---|---|
| | **2.2. ვალის შესახებ ინფორმაციის ასახვა ბიუჯეტში** | საბიუჯეტო დოკუმენტაცია არ მოიცავს ინფორმაციას ვალის მთლიანი მოცულობის შესახებ. | **მიზანი:** საბიუჯეტო დოკუმენტაციაში ასახულია ვალის მოცულობა სულ მცირე მიმდინარე წლის დასაწყისისათვის,<br>**გადამოწმების საშუალება:** მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პაკეტი, რომელიც გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე.<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის ნოემბერი | **მიზანი:** საბიუჯეტო დოკუმენტაციაში ასახულია ვალის მოცულობის პროგნოზი, დასაგეგმი წლის პერიოდის ბოლოსათვის;<br>**გადამოწმების საშუალება:** მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პაკეტი, რომელიც გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე.<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის ნოემბერი | **მიზანი:** საბიუჯეტო დოკუმენტაციაში ასახულია ვალის მოცულობის პროგნოზი, დასაგეგმი წლის პერიოდის ბოლოსათვის;<br>**გადამოწმების საშუალება:** მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პაკეტი, რომელიც გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე.<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის ნოემბერი |
| | **2.3. შიდა აუდიტის ანგარიშები და შიდა ფინანსური მართვის და კონტროლის სისტემის ფუნქციონირება** | შიდა აუდიტის სუბიექტების მიერ მომზადებული აუდიტორული შემოწმებები ხშირ შემთხვევაში არ ეყრდნობა რისკების შეფასებას; მუნიციპალიტეტი ძირითადად ამზადებს შესაბამისობის აუდიტს. შესაბამისად, შიდა აუდიტის მიმართულების გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანია რისკის შეფასებაზე დაფუძნებული შემოწმებების მომზადება და რეკომენდაციების მონიტორინგი. | | **მიზანი:** რისკის შეფასების საფუძველზე შედგენილი სამოქმედო გეგმის მიხედვით განხორციელებულია აუდიტორული შემოწმება შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის ცენტრთან კონსულტაციით. მომზადებული ანგარიში განხილულია მუნიციპალიტეტის საკრებულოში.<br>**გადამოწმების საშუალება:** მუნიციპალიტეტის მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის ცენტრისთვის ოფიციალურად წარდგენილი ანგარიში; ცენტრის პოზიცია მომზადებული ანგარიშის საერთაშორისო და ადგილობრივ სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ; საკრებულოს სხდომის ოქმი.<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის სექტემბერი | **მიზანი:** განხორციელებულია მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ წინა წელს მომზადებული შიდა აუდიტორული შემოწმების ანგარიშში წარმოდგენილი რეკომენდაციების მონიტორინგი ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის ცენტრთან კონსულტაციით.<br>**გადამოწმების საშუალება:** მუნიციპალიტეტის მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის ცენტრისთვის ოფიციალურად წარდგენილი ანგარიში; ცენტრის პოზიცია მომზადებული ანგარიშის საერთაშორისო და ადგილობრივ სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ;<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის სექტემბერი |

| ამოცანა | ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | სამიზნე მაჩვენებელი - პირველი წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მეორე წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მესამე წელი[1] |
|---|---|---|---|---|---|
| | **2.4. წარმომადგენლობითი ორგანოს ზედამხედველობა ანგარიშგებებზე** | მუნიციპალიტეტის მიერ მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები ძირითადად არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს. მუნიციპალიტეტების მიერ პრაქტიკაში ძირითადად არ ხორციელდება ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის. | | **მიზანი:** სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ აუდირებული მუნიციპალიტეტის წინა წლის ფინანსური ანგარიშგების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განხილვა საკრებულოში. **გადამოწმების საშუალება:** საკრებულოს შესაბამისი გადაწყვეტილება, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნის არსებობის შემთხვევაში **შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის ნოემბერი | **მიზანი:** საკრებულოს მიერ განხილულია წინა წლის სამიზნე მაჩვენებლით განსაზღვრულ ფინანსურ ანგარიშგებაზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინების თაობაზე მუნიციპალიტეტის ანგარიში; **გადამოწმების საშუალება:** მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ანგარიში. **შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის ნოემბერი |
| 3. ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა | **3.1. ბიუჯეტის შესრულების კვარტალური და წლიური ანგარიშგებების წარმოება** | მუნიციპალიტეტის მიერ მომზადებული კვარტალური და წლიური ანგარიშები ზოგადი ხასიათისაა. კვარტალური ანგარიშები არ მოიცავს ინფორმაციას პროგრამების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიში არ მზადდება პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შესაბამისად. | **მიზანი:** მომზადებულია არანაკლებ მუნიციპალიტეტის მიმდინარე წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიში და წინა წლის ბიუჯეტის წლიური ანგარიში; **გადამოწმების საშუალება:** 6 თვის შესრულების ანგარიში და წლიური ანგარიში, რომელიც განთავსებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე. **შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის ივლისი და დეკემბერი. | **მიზანი:** მომზადებულია მუნიციპალიტეტის წინა წლის ბიუჯეტის წლიური შესრულები ანგარიში, რომელიც მოიცავს ინფორმაციას პრიორიტეტების ფარგლებში დაგეგმილი პროგრამების/ქვეპროგრამების შესრულების თაობაზე. **გადამოწმების საშუალება:** წინა წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში, რომელიც განთავსებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე. **შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის ივლისი | **მიზანი:** მომზადებულია მუნიციპალიტეტის წინა წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში (პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით) პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შესაბამისად და 1.3 ამოცანის ფარგლებში წინა წლის მიზნის შესაბამისად, არანაკლებ პროგრამების 25%-სთვის წარმოდგენილია ინფორმაცია დაგეგმილთან შედარებით მიღწეული შედეგების და ინდიკატორების შესახებ და განმარტებები დაგეგმილ და მიღწეულ მაჩვენებლებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში. **გადამოწმების საშუალება:** წლიური ანგარიში, რომელიც განთავსებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე. **შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის ივლისი. |

| ამოცანა | ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | სამიზნე მაჩვენებელი - პირველი წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მეორე წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მესამე წელი[1] |
|---|---|---|---|---|---|
| | **3.2. საბიუჯეტო დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობა** | ხშირ შემთხვევაში მუნიციპალიტეტი ან არ ამზადებს რიგ საბიუჯეტო დოკუმენტაციას, ან არ არის ხელმისაწვდომი მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით. | **მიზანი:** მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომია საკრებულოში წარდგენილი საბიუჯეტო დოკუმენტაცია (მათ შორის, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტები და მუნიციპალიტეტის დამტკიცებული ბიუჯეტი თანდართულ მასალებთან ერთად, კვარტალური (3, 6 და 9 თვის) და წლიური ანგარიშები).<br>**გადამოწმების საშუალება:** შესაბამისი ინფორმაცია, რომელიც განთავსებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე.<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის ივლისი და დეკემბერი | **მიზანი:** მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომია საკრებულოში წარდგენილი საბიუჯეტო დოკუმენტაცია (მათ შორის, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტები და მუნიციპალიტეტის დამტკიცებული ბიუჯეტი თანდართულ მასალებთან ერთად, კვარტალური (3, 6 და 9 თვის) და წლიური ანგარიშები).<br>**გადამოწმების საშუალება:** შესაბამისი ინფორმაცია, რომელიც განთავსებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე.<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის 1 ივლისი და დეკემბერი | **მიზანი:** მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომია საკრებულოში წარდგენილი საბიუჯეტო დოკუმენტაცია (მათ შორის, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტები და მუნიციპალიტეტის დამტკიცებული ბიუჯეტი თანდართულ მასალებთან ერთად, კვარტალური (3, 6 და 9 თვის) და წლიური ანგარიშები).<br>**გადამოწმების საშუალება:** შესაბამისი ინფორმაცია, რომელიც განთავსებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე.<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის ივლისი და დეკემბერი |
| | **3.3. მოქალაქის გზამკვლევის მომზადება** | მუნიციპალიტეტის მიერ რეგულარულად არ მზადდება/არ მზადდება საბიუჯეტო დოკუმენტაციაზე (პრირიტეტების დოკუმენტი, დამტკიცებული ბიუჯეტი, შესრულების ანგარიშები და სხვა) მოკლე და მოქალაქეებისთვის მარტივად აღქმად ენაზე მომზადებული გზამკვლევი. | **მიზანი:** მომზადებულია მიმდინარე წლის 1 ივლისის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის დაზუსტებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების (მათ შორის კაპიტალური პროექტები) მიმდინარეობის შესახებ მოქალაქის გზამკვლევი.<br>**გადამოწმების საშუალება:** მოქალაქის გზამკვლევი გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის აგვისტო | | **მიზანი:** მუნიციპალიტეტის მიერ მომზადებულია მოკლე, მოქალაქეებისთვის მარტივად აღსაქმელი ინფორმაცია/გზამკვლევი არანაკლებ წინა წლის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშზე და დასაგეგმი წლის დამტკიცებულ ბიუჯეტზე.<br>**გადამოწმების საშუალება:** წინა წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის და დასაგეგმი წლის დამტკიცებულ ბიუჯეტზე მოკლე გზამკვლევი, რომელიც განთავსებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე.<br>**შესრულების ვადა:** წინა წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის გზამკვლევის მომზადება - შესაბამისი წლის 1 მაისი; დასაგეგმი წლის ბიუჯეტის კანონის მოკლე გზამკვლევი - შესაბამისი წლის დეკემბერი |

| ამოცანა | ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი | სამიზნე მაჩვენებელი - პირველი წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მეორე წელი[1] | სამიზნე მაჩვენებელი - მესამე წელი[1] |
|---|---|---|---|---|---|
| 4. საინვესტიციო პროექტების მართვა[5] | **4.1 საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის ერთიანი სისტემის დანერგვა** | საქართველოს მთავრობის 2016 წლის 22 აპრილის №191 დადგენილებით დამტკიცდა საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევი, რომლის საფუძველზე მომზადდა დეტალური მეთოდოლოგია (საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 22 ივლისის N165 ბრძანება (ცვლილება „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანებაში). ზემოაღნიშნული გზამკვლევი და მეთოდოლოგია ვრცელდება საინვესტიციო/კაპიტალურ პროექტებზე, რომლის ღირებულება შეადგენს ან აღემატება 5.0 მლნ ლარს. თუმცა, მნიშვნელოვანია რომ აღნიშნული პრაქტიკა დაინერგოს 5.0 მლნ ლარზე ნაკლები ღირებულების საინვესტიციო პროექტებზე, მუნიციპალიტეტების სპეციფიკის გათვალისწინებით. | **მიზანი:** მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელ ყველაზე მსხვილ ერთ ახალ საინვესტიციო/კაპიტალურ პროექტზე, რომლის განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილება არ არის მიღებულ, მომზადებულია კონცეფციის ბარათი და ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზი საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევის და მეთოდოლოგიის შესაბამისად, აღნიშნული პროექტების ბიუჯეტში გათვალისწინებამდე.<br>**გადამოწმების საშუალება:** ახალ პროექტებზე მომზადებული კონცეფციის ბარათი და ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზი გადაგზავნილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროში; შესაბამისი ინფორმაცია ასახულია შესაბამისი საშუალოვადიანი წლების პრიორიტეტების დოკუმენტში და დასაგეგმი წლის ბიუჯეტში.<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის დეკემბერი | **მიზანი:** მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელ ყველაზე მსხვილ ორ ახალ საინვესტიციო/კაპიტალურ პროექტზე, რომლის განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილება არ არის მიღებული მომზადებულია კონცეფციის ბარათი და ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზი საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევის და მეთოდოლოგიის შესაბამისად, აღნიშნული პროექტების ბიუჯეტში გათვალისწინებამდე.<br>**გადამოწმების საშუალება:** ახალი პროექტებზე მომზადებული კონცეფციის ბარათები და ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზი გადაგზავნილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროში; შესაბამისი ინფორმაცია ასახულია შესაბამისი საშუალოვადიანი წლების პრიორიტეტების დოკუმენტში და დასაგეგმი წლის ბიუჯეტში.<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის დეკემბერი | **მიზანი:** მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელ ყველაზე მსხვილ სამ ახალ საინვესტიციო/კაპიტალურ პროექტზე, რომლის განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილება არ არის მიღებული მომზადებულია კონცეფციის ბარათები და ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზი საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევის და მეთოდოლოგიის შესაბამისად, აღნიშნული პროექტების ბიუჯეტში გათვალისწინებამდე.<br>**გადამოწმების საშუალება:** ახალ პროექტებზე მომზადებული კონცეფციის ბარათები და ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზი გადაგზავნილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროში; შესაბამისი ინფორმაცია ასახულია შესაბამისი საშუალოვადიანი წლების პრიორიტეტების დოკუმენტში და დასაგეგმი წლის ბიუჯეტში.<br>**შესრულების ვადა:** შესაბამისი წლის დეკემბერი |

[5] ამოცანის სამიზნე მაჩვენებლების შესრულება იწყება 2021 წლიდან ყველა მუნიციპალიტეტისთვის. შესაბამისად, იმ მუნიციპალიტეტებმა, რომელთაც ურთიერთშეთანხმების მემორანდუმები გააფორმეს საქართველოს მთავრობის 2019 წლის 30 დეკემბრის №2735 განკარგულების საფუძველზე და სამიზნე მაჩვენებლების შესრულების ვალდებულება აქვთ 2020 წლიდან, პირველ წელი გულისხმობს 2021 წელს, ხოლო მეორე წელი - 2022 წელს და ვინაიდან მემორანდუმი 3 წლიან პერიოდს მოიცავს, აღნიშნულ მუნიციპალიტეტებს მესამე წლის, იგივე 2023 წლის სამიზნე მაჩვენებლის შესრულების ვალდებულება წარმოდგენილი მემორანდუმით არ აქვთ. იმ მუნიციპალიტეტებისთვის, რომლებიც მემორანდუმებს აფორმებენ 2021 და 2022 წელს და სამიზნე მაჩვენებლების შესრულების ვალდებულება აქვთ შესაბამისად 2021 და 2022 წლიდან, პირველი წელი გულისხმობს 2021 წელს, ხოლო მეორე და მესამე წელი შესაბამისად 2022 და 2023 წელს. ხოლო იმ მუნიციპალიტეებისათვის, რომლებიც მემორანდუმს გააფორმებენ 2022 წელს, პირველი წელი გულისხმობს 2023 წელს.

ცხრილი №2 მუნიციპალიტეტისათვის მისაღები გრანტის მოცულობა (ათასი ლარი) და გრანტის მიღების პერიოდი

ცხრილი №2.1

- ქ. ფოთი
- ლანჩხუთი
- ახალქალაქი
- მარტვილი
- ლაგოდეხი
- თერჯოლა
- ქარელი
- ხობი
- კასპი
- სენაკი

| ამოცანა | სამიზნე მაჩვენებლის დასახელება | სულ ჯამი | გრანტის მოცულობა (ათასი ლარი) და გრანტის მიღების პერიოდი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 2020 წელი | 2021 წელი | 2022 წელი | 2023 წელი |
| 1. საშუალოვადიანი დაგეგმვა და ბიუჯეტირება | 1.1. საბიუჯეტო დოკუმენტაციის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფის მუშაობა<br>1.2. პრიორიტეტების დოკუმენტი და ასიგნებების ზღვრული მოცულობების დადგენა | **200.0** | 100.0 | 100.0 | | |
| | 1.3. პროგრამული ბიუჯეტირება | **450.0** | | 100.0 | 150.0 | 200.0 |
| | 1.4. სამოქმედო გეგმების მომზადება | **400.0** | 100.0 | 150.0 | 150.0 | |
| | 1.5. დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების რაოდენობა | **100.0** | | | | 100.0 |
| | სულ | **1,150.0** | **200.0** | **350.0** | **300.0** | **300.0** |
| 2. ანგარიშგება და კონტროლი | 2.1. ფინანსური ანგარიშგების წარმოება<br>2.2. ვალის შესახებ ინფორმაციის ასახვა ბიუჯეტში | **100.0** | | 100.0 | | |

| ამოცანა | სამიზნე მაჩვენებლის დასახელება | სულ ჯამი | გრანტის მოცულობა (ათასი ლარი) და გრანტის მიღების პერიოდი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 2020 წელი | 2021 წელი | 2022 წელი | 2023 წელი |
| | 2.3. შიდა აუდიტის ანგარიშები და შიდა ფინანსური მართვის და კონტროლის სისტემის ფუნქციონირება | **200.0** | | 100.0 | 100.0 | |
| | 2.4. წარმომადგენლობითი ორგანოს ზედამხედველობა ანგარიშგებებზე | **200.0** | | 100.0 | 100.0 | |
| | სულ | **500.0** | **0.0** | **300.0** | **200.0** | **0.0** |
| 3. ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა | 3.1. ბიუჯეტის შესრულების კვარტალური და წლიური ანგარიშგებების წარმოება<br>3.2. საბიუჯეტო დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობა | **250.0** | | 100.0 | 150.0 | |
| | 3.3. მოქალაქის გზამკვლევის მომზადება | **200.0** | 100.0 | | 100.0 | |
| | სულ | **450.0** | **100.0** | **100.0** | **250.0** | **0.0** |
| 4. საინვესტიციო პროექტების მართვა | 4.1. საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის ერთიანი სისტემის დანერგვა | **500.0** | | | 200.0 | 300.0 |
| | სულ | **500.0** | **0.0** | **0.0** | **200.0** | **300.0** |
| სულ ჯამი | | **2,600.0** | **300.0** | **750.0** | **950.0** | **600.0** |

ცხრილი №2.2

- ასპინძა (2021-2024)
- ჭიათურა (2021-2024)
- ახალციხე (2021-2024)
- საჩხერე (2021-2024)
- ახმეტა (2023-2026)

| ამოცანა | სამიზნე მაჩვენებლის დასახელება | სულ ჯამი | გრანტის მოცულობა (ათასი ლარი) და გრანტის მიღების პერიოდი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | პირველი წელი[6] | მეორე წელი[3] | მესამე წელი[3] | მეოთხე წელი[3] |
| 1. საშუალოვადიანი დაგეგმვა და ბიუჯეტირება | 1.1. საბიუჯეტო დოკუმენტაციის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფის მუშაობა<br>1.2. პრიორიტეტების დოკუმენტი და ასიგნებების ზღვრული მოცულობების დადგენა | **100.0** | 100.0 | | | |
| | 1.3. პროგრამული ბიუჯეტირება | **450.0** | | 100.0 | 150.0 | 200.0 |
| | 1.4. სამოქმედო გეგმების მომზადება | **400.0** | 100.0 | 150.0 | 150.0 | |
| | 1.5. დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების რაოდენობა | **100.0** | | | | 100.0 |
| | სულ | **1,050.0** | **200.0** | **250.0** | **300.0** | **300.0** |
| 2. ანგარიშგება და კონტროლი | 2.1. ფინანსური ანგარიშგების წარმოება<br>2.2. ვალის შესახებ ინფორმაციის ასახვა ბიუჯეტში | **100.0** | | 100.0 | | |
| | 2.3. შიდა აუდიტის ანგარიშები და შიდა ფინანსური მართვის და კონტროლის სისტემის ფუნქციონირება | **200.0** | | 100.0 | 100.0 | |
| | 2.4. წარმომადგენლობითი ორგანოს ზედამხედველობა ანგარიშგებებზე | **200.0** | | 100.0 | 100.0 | |

[6] ამ ცხრილით განსაზღვრული შესაბამისი მუნიციპალიტეტისთვის მითითებული წლების მიხედვით 2021-2024 ან 2023-2026 წლები.

| ამოცანა | სამიზნე მაჩვენებლის დასახელება | სულ ჯამი | გრანტის მოცულობა (ათასი ლარი) და გრანტის მიღების პერიოდი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | პირველი წელი[6] | მეორე წელი[3] | მესამე წელი[3] | მეოთხე წელი[3] |
| | სულ | 500.0 | 0.0 | 300.0 | 200.0 | 0.0 |
| 3. ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა | 3.1. ბიუჯეტის შესრულების კვარტალური და წლიური ანგარიშგებების წარმოება<br>3.2. საბიუჯეტო დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობა | 250.0 | | 100.0 | 150.0 | |
| | 3.3. მოქალაქის გზამკვლევის მომზადება | 200.0 | 100.0 | | 100.0 | |
| | სულ | 450.0 | 100.0 | 100.0 | 250.0 | 0.0 |
| 4. საინვესტიციო პროექტების მართვა | 4.1. საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის ერთიანი სისტემის დანერგვა | 900.0 | | 200.0 | 300.0 | 400.0 |
| | სულ | 900.0 | 0.0 | 200.0 | 300.0 | 400.0 |
| სულ ჯამი | | 2,900.0 | 300.0 | 850.0 | 1,050.0 | 700.0 |

# დანართი №5

1. *მემორანდუმის დანართით განისაზღვრება საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში მუნიციპალიტეტების მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობისათვის გამოყოფილი კაპიტალური გრანტის მიღების პირობები შემდეგი მუნიციპალიტეტებისათვის:*

- *ონი (2020-2022 წწ.)*
- *დუშეთი (2020-2022 წწ.)*
- *ყაზბეგი (2020-2022 წწ.)*
- *დედოფლისწყარო (2020-2022 წწ.)*
- *სიღნაღი (2020-2022 წწ.)*
- *ბორჯომი (2020-2022 წწ.)*
- *ყვარელი (2021-2023 წწ.)*
- *მესტია (2021-2023 წწ.)*
- *ვანი (2023-2025 წწ)*
- *ტყიბული (2023-2025 წწ)*
- *ხონი (2023-2025 წწ)*
- *ხულო (2023-2025 წწ)*
- *ქედა (2023-2025 წწ)*
- *ბაღდათი (2023-2025 წწ)*
- *ხარაგაული (2023-2025 წწ)*
- *ამბროლაური (2023-2025 წწ)*
- *თეთრიწყარო (2023-2025 წწ)*
- *დმანისი (2023-2025 წწ)*
- *წალკა (2023-2025 წწ)*
- *ჩოხატაური (2023-2025 წწ)*
- *აბაშა (2023-2025 წწ)*
- *წალენჯიხა (2023-2025 წწ)*
- *ჩხოროწყუ (2023-2025 წწ)*
- *ადიგენი (2023-2025 წწ)*
- *ნინოწმინდა (2023-2025 წწ)*
- *თიანეთი (2023-2025 წწ)*
- *ლენტეხი (2023-2025 წწ)*
- *ცაგერი (2023-2025 წწ)*
- *შუახევი (2023-2025 წწ)*

*მემორანდუმის დანართი №1*

*ცხრილ №1-ში წარმოდგენილია მუნიციპალიტეტების მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების მიზნით განსახორციელებელი ამოცანები და ინდიკატორები სამწლიანი პერიოდისთვის;*

*ცხრილ №2-ში წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის მიერ მისაღები გრანტის მოცულობა (ათასი ლარი) და გრანტის მიღების პერიოდი. ამასთან, განკარგულების დანართი №2-ის პირველი პუნქტით მუნიციპალიტეტებისათვის განსაზღვრული სამწლიანი პერიოდის გათვალისწინებით, წარმოდგენილია ცხრილი №2.1 და ცხრილი №2.2.*

*ცხრილი №1-ით წარმოდგენილი ამოცანების საბაზისო მაჩვენებლები განზოგადებულია მუნიციპალიტეტებისათვის, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, დონორების დახმარებით განხორციელებული PEFA შეფასების ინდიკატორების გამოყენებით, მუნიციპალიტეტების შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, ასევე არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით.*

## საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობისათვის მუნიციპალიტეტების მიერ გამოყოფილი კაპიტალური გრანტის მიღების ზოგადი პირობები

1. კაპიტალური გრანტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი ზოგადი პირობები:
   ა) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი აკმაყოფილებს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 155[1] მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ პირობებს;
   ბ) სამიზნე მაჩვენებლების შემოწმებისას მუნიციპალიტეტი ინარჩუნებს წინა წლებისათვის განსაზღვრულ სამიზნე მაჩვენებლებით განსაზღვრულ პირობებთან შესაბამისობას.
